# კვალი

IX წ. საყოველკვირაო გაზეთი. IX წ.

№ 25. კვირა, 17 ივნისი 1901 წელსა. № 25.

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ., თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი - სამი შაური.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში — «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში. და «კვალის» რედაქციაში, სასპიტრების ქ., № 15. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „КВАЛИ“.

შინაარსი: ჩვენი დღევანდელი პრესა, ნ. ჟორდანიასი. — სხვა-და-სხვა ამბები. — კორესპონდენციები. — რუსეთის ცხოვრება. — საზღვარ-გარეთ. — უკულმართი, მოთხ. გორკისა. — ისტორიული მეცნიერებიდან (დასასრული). — ქიათურის ბანკის გამო, ს. ქვარიანისა.

## ჩვენი დღევანდელი პრესა.

### IV.

როგორც მესამე წერილში ნათლად დავინახეთ, ბ. ჯორჯაძის ერთად-ერთი მიზანია ხელი შეუწყოს ქართული ბურჟუაზიის შექმნას და გამძლავრებას. მისი აზრით, ბურჟუაზიას შეეძლება შეეცილოს სხვა ერთა მეტოქე ბურჟუაზიას და აგრეთვე მეთაურობა გაუწიოს შინაგან განვითარებას. ეს შეხედულება ჩვენ თვითონ არა ერთხელ გამოგვითქვამს და, მაშასადამე, ბ. ჯორჯაძე აქ ვერავითარ ორიგინალობას ვერ იჩენს. სამაგიეროთ, ის ორიგინალობს იმაში, რაშიაც ჩვენ არ გვეთანხმება და სწორეთ ეს უთანხმოებაა მთავარი ძარღვი ჩვენის განხეთქილებისა. რას შეიცავს ეს უთანხმოება?

ჩვენი აზრით, ქართველი ბურჟუაზიის განვითარება პროგრესიულია მხოლოთ იმდენათ, რამდენათაც ის შეებრძოლება შინაურ ფეოდალ-პატრიარქალურ ურთიერთობას და მის ნანგრევზე ააშენებს ახალ წყობილებას; მეორე მხრით, იმავე ბურჟუაზიის განვითარება რეგრესიულია იმდენათ, რამდენათაც ის იმორჩილებს «მშრომელ ხალხს» და მისი ოფლით თვითონ ბატონდება.

ბ. ჯორჯაძის აზრით კი, პირიქით, ქართველი ბურჟუაზიის განვითარება პროგრესიულია იმდენათ, რამდენათ ის ბატონდება „მშრომელ ხალხზე“ და მისი ოფლით ის სუქდება. ცხადია, მთელი განსხვავება მდგომარეობს ხალხის ინტერესის დაცვაში. ჩვენთვის უპირველეს როლს თამაშობს თვითონ ხალხი, ბ. ჯორჯაძისათვის კი ბურჟუაზია; ჩვენ გამოვდივართ შრომის ინტერესებისაგან, ბ. ჯორჯაძე კი კაპიტალის; ჩვენ გვსურს, რომ თანამედროვე კულტურაში რაც შეიძლება მეტი მონაწილეობა მიიღოს და მეტი წილი იხვედროს „მშრომელმა ხალხმა“, ბ. ჯორჯაძე კი ყველა ამას კაპიტალისტებს უთმობს და შრომის შვილთ გაჩუმებას ურჩევს. ერთი სიტყვით, ბ. ჯორჯაძე ტიპიური მებაირაღეა ჩვენი ბურჟუაზიის და ამიტომ ის შეიძლება ჩაითვალოს პირველ ქართველ ბურჟუა-პუბლიცისტათ.

მაგრამ ბ. ჯორჯაძეს, როგორც მისი წერილებიდან ჩანს, კარგათ არ აქვს შეგნებული ის როლი, რომელიც მას უტვირთნია. ის ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაიძახის, რომ კლასთა ბრძოლა „უნაყოფოა“, „მავნებელია“, „დამღუპველია“ და სხვა ამისთანაებს. ის გულ-მოდგინეთ გვიქადაგებს უარვყოთ შემეცნება კლასიური და მის ალაგას აღვმართოთ ეროვნული. მას ჰგონია, განვითარება კლასიური და ეროვნული ერთმანერთს ეწინააღმდეგება. და მერე მართალია ეს? მართლა უარსაყოფია კლასიური შეხედულება ცხოვრებაზე? პირველ ყოვლისა, თვით ბ. ჯორჯაძე თავისი მაგალითით ამტკიცებს იმას, თუ რამდენათ საჭიროა ასეთი შეხედულება. ის გამოდის ბურჟუაზიის დამცველათ, ბურჟუაზია კი წარმოადგენს ერთ განკერძოებულ ნაწილს ერისას ანუ კლასს. მაშასადამე, ბ. ჯორჯაძე წარმომადგენელია ერთი განსაზღვრული კლასის — ბურჟუაზიის. ის ამ კლასის იდეოლოგია და, მაშასადამე, დგას წმინდა კლასიურ პრინციპზე. ამ პრინციპს ყველა წერილებში ატარებს და გვიკვირს როგორ შეუძლია მას მისი უარისყოფა.

მისთვის ბურჟუაზიული განვითარება არის იმავე დროს ეროვნული განვითარება, ხოლო ბურჟუაზიული განვითარება არის კლასიური განვითარება, მაშასადამე, კლასიური განვითარება არის იმავე დროს ეროვნული განვითარება. აშკარაა, „ეროვნული“ და „კლასიური“ ერთმანერთს არ ეწინააღმდეგება, პირიქით, უკანასკნელი პირველის ერთად-ერთი შინაარსია და უერთმანეთოთ არსებობა არ შეუძლიათ.

ასეა თუ ისე, ბ. ჯორჯაძე, როგორც ბურჟუაზიის ბაირაღტარი, წმინდა კლასიური პრინციპით არის აღჭურვილი და ამ პრინციპის უარისყოფა მას სრულიად არ ძალუძს. ასე რომ ჩვენ, წინააღმდეგ ბ. ჯორჯაძის სურვილისა, სწორეთ ეს „ნიადაგი“ გვაქვს საერთო — კლასი-

ური წარმოდგენა ცხოვრებისა. განსხვავება კი იმაშია, რომ ის ამ ცხოვრებას უყურებს ერთი კლასის - ბურჟუაზიის (უმცირესობის) შეხედულებით, ხოლო ჩვენ მეორე კლასის—მშრომელი ხალხის (უმრავლესობის) შეხედულებით. მისთვის ეროვნების შინაარსს და გამმაგრებელს შეადგენენ ბურჟუა-კაპიტალისტები, ჩვენთვის კი თვით მშრომელნი, შრომის წარმომადგენლები.

ჩვენ წინადადებას ვაძლევთ ბ. ჯორჯაძეს დაარღვიოს ეს ჩვენი მოსაზრება. ხოლო სანამ ის ამ შეუძლებელს შესძლებდეს, მანამდის ვეცდებით ავხსნათ მისი ლოლიკური უკულმართობა — უარისყოფა თეორეტიულათ იმ პრინციპის, რითაც თვითონ არის ნამდვილათ აღჭურვილი.

ბ. ჯორჯაძე იცავს ბურჟუაზიას, რაიცა მისი აზრით თვით ეროვნების დაცვაა; მაგრამ ამასთანავე აცხადებს კლასიურ განხეთქილებას თავი დავანებოთო. რატომ? იმიტომ, რომ ეს განხეთქილება „მშრომელ ხალხს დაუპირდაპირებს“ ბურჟუაზიას და ამით შეიძლება უკანასკნელი შესუსტდეს. მაშასადამე, ბურჟუაზიის გამძლავრება მოითხოვს განხეთქილების უარისყოფას; რამდენათაც ნაკლებია განხეთქილება, იმდენათ მეტია ხალხის მორჩილება, მეტია მისი გაყვლეფაც, მაშასადამე, მეტია ბურჟუაზიის გამდიდრება, ე. ი. ამ კლასის პირდაპირი ინტერესი მოითხოვს ყოველნაირი „დაპირდაპირების“ უარისყოფას და ამიტომ ბ. ჯორჯაძეც ამ უარისყოფის თავგამოდებული მქადაგებელია. ამ შემთხვევაში ბ. ჯორჯაძე საშინლათ ბაძავს სახელოვან ისტორიკოსს გიზოს. როგორც „კვალში“ იყო გარკვეული (№ 11, 12 და სხ.), გიზო ბურჟუაზიის შესანიშნავი წარმომადგენელი იყო, ის კლასიურ პრინციპს აშკარათ ქადაგებდა და მხოლოთ მაშინ, როცა „მშრომელი ხალხი“ ბურჟუაზიის წინაალმდეგ ამხედრებული დაინახა, კილო შესცვალა და კლასთა ბრძოლა მავნებლათ აღიარა: „ეს უბედურებაა, ეს სირცხვილია, რაც ჩვენ დროს სრულებით არ შეფერის, მშვიდობა შინაობაში, მშვიდობა მოქალაქეთა სხვა-და-სხვა კლასთა შორის, სოციალური მშვიდობა!“ — დასწერა გიზომ ივნისის (1848 წ.) რევოლიუციის შემდეგ („კვალი“ № 12). და აი ბ. ჯორჯაძეც გვირჩევს, გაჩუმდით, აცალეთ ქართველ ბურჟუაზიას გაბატონებაო!

ასე გაჟღენთილია ბ. ჯორჯაძე კლასიური გრძნობებით, გრძნობებით გიორგი პინტილიანებისა („ეფემიას ოცნება“) და თან თავი მოაქვს უდიდეს ჰუმანისტათ და მთელი ქართველობის დამცველათ! არა, ბ. ჯორჯაძის კლასიური პსიხოლოგია ისეთი ნათელი და აშკარაა, რომ მისი ფრაზებით და ულოლიკობით დამალვა ყოვლად შეუძლებელია.

რასაკვირველია, ბ. ჯორჯაძე, როგორც ბურჟუაზიის ბაირაღტარი, განსაკუთრებით „მშრომელი ხალხის“ წინააღმდეგ არის ამხედრებული, სხვა წოდებებს კი უფრო ლმობიერათ ეპყრობა. მაგ., სამღვდელოებას ანიჭებს დიდ ნაციონალურ როლს („ცნ. ფ.“ № 1166) და თვით თავად-აზნაურობის წინაშეც ხანდახან ბოდიშს იხდის (№ 1478). ყველა ამათ რაღაც ადგილი მაინც აქვთ ქართველობის აღორძინების საქმეში, ხოლო „მშრომელი ხალხი“ კი აქედან ერთიანათ გამორიცხულია. მას მხოლოთ ერთათ-ერთი როლი აქვს მინიჭებული: მუშაობა და გაჩუმება.

მაგრამ ერთი მითხარით, ვისთვის იქნება ეს ყველაზე უფრო ხელ-საყრელი? ქართველი კაპიტალისტებისათვის? უეჭველია არა, რადგან თვით ბ. ჯორჯაძე გვატყობინებს, რომ ისინი ძლიერ ცოტანი არიანო (№ 1416); დაგვრჩა უცხო, განსაკუთრებით სომხის კაპიტალისტები, რომელნიც მართლა ბევრნი არიან. მეორე მხრით „მშრომელი ხალხის“ დიდ უმრავლესობას კი ქართველობა შეადგენს, მაშასადამე, როცა ამათ გაჩუმებას ურჩევ — ეს არ ნიშნავს პირველთა გაღონიერებას და გაბატონებას? დიახაც რომ ნიშნავს და აი სწორეთ ბ. ჯორჯაძე, წინააღმდეგ თავის სურვილისა, ქართველი ხალხის შრომით ამდიდრებს უცხო კაპიტალისტებს და თან გვარწმუნებს, ქართველობას ვემსახურებიო!

მისი დღევანდელი მოქმედება სწორეთ ასეთია, თუმცა პროექტი კი სხვანაირი აქვს. ის ფიქრობს შექმნას ქართველი მრეწველი ხალხი და მისი საშუალებით აქედან გარეკოს უცხო მრეწველნი, ე. ი. ქართველმა ბურჟუაზიამ უნდა **დაიმონოს** არა მარტო ქართველი ხალხი, არამედ უცხონიცო. აი ბ. ჯორჯაძის სიტყვები:

„თანამედროვე პირობებში, ერთა ბრძოლის კითხვაში, ამ პატარა გუნდის (ბურჟუაზიის) სიმდიდრეს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი **არა მარტო თავის ხალხის**, არამედ **სხვისი** ხალხის **დასამონავებელ იარაღად** ხდება ხოლმე“ (კურსივი ყოველგან ჩვენია.) (№ 1482).

რაკი ავტორმა „თავის ხალხის“ დამონების საშუალება აღმოაჩინა, მერე შეუდგა „სხვისი ხალხის“ დამონების საქმის მოწყობას. ეს „სხვისი ხალხია“ სომხობა. აქ ის გვეთანხმება ჩვენ იმაში, რომ ინტერესთა წინააღმდეგობაა ქართველი და სომხის ბურჟუაზიას შორისო, ხოლო გვშორდება ჩვენ იმით, რომ მას სურს ეს წინააღმდეგობა უეჭველათ ორივე ერის „მშრომელ ხალხთა“ შორისაც გადაიტანოს და ამით მათი ერთობა შეასუსტოს. ის ამბობს:

«ჩვენ ხშირად გვესმის ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენი მტერი სომეხთა ბურჟუაზია არის და სომხის ხალხი კი ჩვენი მეგობარი უნდა იყოსო, რადგან ის ჩვენს ხალხთან ერთს და იმავე ტაფაში იწვისო. ჩვენის აზრით, კითხვის ამგვარათ დაყენება ჩვენთვის **შეუწყნარებელია**. ვიმეორებთ, ჩვენ ან ვსთვლით ეროვნობას წარმატების საჭირო იარაღათ, ან არა ვსთვლით. თუ იგი საჭირო იარაღია, მაშასადამე ჩვენ მტკიცედ უნდა დავიცვათ ყველაფერი, რაც კი ეროვნების შინაარსს შეადგენს—ეკონომიური სიმდიდრის გარდა — **ენა, ტერიტორია, მოდგმა, ძველი ისტორია და კულტურა**» (იქვე).

როგორც ხედავთ, ჩვენს და სომხის ხალხს შორის არ შეიძლება ერთობა იმ საბუთით, რომ ჩვენთვის საჭიროა ჩვენი ენა, ტერიტორია და სხვა. ხოლო სომხები კი ყველა ამაში გვეცილებაო. ძლიერ კარგი, მაგრამ ერთი ვიკითხოთ: რომელ ხალხს შეუძლია უფრო კარგათ დაიცვას თავისი ენა, ტერიტორია, მოდგმა, კულტურა და სხ.? რასაკვირველია იმას, რომელიც განვითარებული და გაღონიერებულია მოქალაქობრივ ნიადაგზე. ქართველი ხალხი რამდენათ გაძლიერდება ნივთიერათ და მოქალაქობრივათ, იმდენათ ის უკეთ დაიცავს თავის პირადობას და ტერიტორიას და დაიცავს არა ჩხუბით, არამედ მშვიდი და საქმიანი კონკურენციით. კულტურული მუშა ყოველთვის უფრო ძვირფასი იქნება პატრონისა-

თვის, ვინემ უკულტურო, კულტურიანი სოფლელი გაცილებით უფრო კარგათ მოიხმარს მიწა-ადგილს, ვინემ უკულტურო, მისი ენა და ლიტერატურაც უფრო მდიდარი და გავლენიანი იქნება, ვინემ სხვების. ერთი სიტყვით, «მშრომელი ხალხის» წარმატება ერთათ-ერთი მიზეზია მთელი ერის გამაგრების და მისი ცხოვრების გაძლიერების. და აი, ბ. ჯორჯაძე ერის ამ ერთათ ერთ ბურჯს უმონებს ერთ მუჭა ბურჟუა-კაპიტალისტებს და მით სპობს საშუალებას ენის, ტერიტორიის—კულტურის დაცვისას.

ჩვენ არა ვართ მომხრე ხალხთა აქეთ-იქით გადასახლებ-გადმოსახლებისა და სხვა-და-სხვა ადგილებში ბედის ძიებისა. ჩვენის აზრით, ყოველი ხალხი მოვალეა გაიუმჯობესოს თავისი მდგომარეობა თავისივე ტერიტორიის საზღვრებში, თავისი უფლებები მოითხოვოს იქ, სადაც დაჰკარგა და არა იქ, სადაც არა დაუკარგავს-რა. ეს პირდაპირ მისი ინტერესია; ბურჟუაზია კი იმაშია დაინტერესებული, რომ ეს უკმაყოფილო ნაწილი ხალხისა თავიდან მოიშოროს და მის ალაგას უცხო ხალხი მოიყვანოს. მაშასადამე, ქართველი ბურჟუაზიის ინტერესი მოითხოვს, რაც შეიძლება მეტი უცხო მუშა ჩამოვიდეს და ქართველ მუშასთან შეცილებით შრომის ფასი დასცეს. ბ. ჯორჯაძე, როგორც ამ ბურჟუაზიის მეთაური, ძლიერ მოხარული უნდა იყოს ასეთი გადმოსახლების. და თუ მაინც გადმოსახლების წინაამდეგ ლაპარაკობს, ეს მისი სამფარველო კლასის ინტერესის უბრალო გაუგებრობაა. ერთი სიტყვით, ეს ჩვენი ბურჟუა-პუბლიცისტი შრომის გაიაფებას უნდა მეცადინეობდეს და, მაშასადამე უცხო იაფ ფასიან მუშების მიზიდვასაც. ჩვენ კი, წინაამდეგ ამისა, შრომის გაძვირების მომხრე ვართ და, მაშასადამე, ყოველნაირი გადმოსახლების წინაამდეგი.

იმედია, ამ მოსაზრებასაც დაარღვევს ბ. ჯორჯაძე.

მაგრამ ეს ჩვენი წინაამდეგობა სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ისინი, ვინც უკვე მოსული არიან და ჩვენ მუშასთან ერთათ მუშაობენ, გავდევნოთ და დავჩაგროთ. პირიქით, ჩვენი აზრით, მათ შორის საჭიროა ერთობის განმტკიცება და თანხმათ მოქმედებით საერთო მდგომარეობის გაუმჯობესობა. მეორე მხრით, ბურჟუაზიის ინტერესია, მაშასადამე ბ. ჯორჯაძისაც, მათ შორის განხეთქილება ჩამოაგდოს, ისინი დაქსაქსოს და ასე მათზე უფრო კარგათ გაბატონდეს. და აი, ბ. ჯორჯაძის მიერ წარმოდგენილი ნაციონალური განხეთქილება მუშათა შორის მხოლოთ ამ ნაყოფს მოიტანს და მეტს არაფერს.

ამნაირათ, ბ. ჯორჯაძე ერთი მხრით მომხრე უნდა იყოს უცხო მუშათა გამრავლებისა ჩვენში, ხოლო მეორე მხრით, მოწინააღმდეგე ჩვენ და ამ მოსულ მუშათა შორის ერთობის და თანხმობის ჩამოგდების. ეს არის კაპიტალიზმის მიუცილებელი მოთხოვნილება და, მაშასადამე, ეს უნდა იყოს ბ. ჯორჯაძის ლოღიკური დასკვნები.

ასეთია ბ. ჯორჯაძის «საერთო ნიადაგი», ასეთია მისი ბურჟუაზიული ასპარეზი.

ვის იწოდებს ის აქეთკენ?

ბ. ჯორჯაძე მართალია ამჩნევს კლასების გაჩენას, მაგრამ რადგანაც უარყოფს მათ ბრძოლას (სიტყვით რასაკვირველია), ამისათვის ყოველ ნაირ თვით-მოძრავ ძალას მათ ართმევს და მას ერთიანათ უთმობს ინტელიგენციას. აქ ის ტოვებს ბურჟუაზიულ და, მაშასადამე, კლასიურს ნიადაგს და პირდაპირ ძველებურ «ნაროდნიკულ» ფანტაზიაში იფლება. მისი აზრით, ცხოვრების მეთაური და მატრიალებელი კლასები კი არ არიან, არამედ ინტელიგენტები. ესენი პატარა ღმერთებია, რომელთაც ადვილათ შეუძლიათ ხალხი საითკენაც სურთ იქით მიაბრუნონ. და აი, ბ. ჯორჯაძეც მეცადინეობს ქართველი ინტელიგენცია ქართველი ბურჟუაზიის სამსახურში შეიყვანოს.

რა არის ინტელიგენცია? ამაზე ბ. ჯორჯაძე გარკვეულ პასუხს ვერ იძლევა. ის სწერს:

„ინტელიგენცია ცხოვრების შეგნებაა, გონიერებაა და ამ შეგნების და გონიერების დაგვარათ მოქმედება“ (№ 1438).

თუ ინტელიგენციის დამახასიათებელი თვისება გონიერება და შეგნებაა, ცხადია, ერის სხვა ნაწილები გონიერებას და შეგნებას მოკლებული ყოფილან და ამ გონიერება-ინტელიგენციის უბრალო მასალათ შექმნილან. ეს აქ ერთი მხრით დგას უგუნურობა და შეუგნებლობა — ხალხი, მეორე მხრით გონიერება და შეგნებულობა—ინტელიგენცია. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, უკანასკნელის წმიდა მოვალეობაა პირველს უწინამძღვროს და მამობრივი პატრონობა გაუწიოს. ამნაირათ, ბ. ჯორჯაძე «გონებას აგდებს ხალხიდან და ხალხს გონებიდან», როგორც ამას ვწერდით ჯერ კიდევ 1898 წ. მის მზგავს ინტელიგენტების შესახებ*). საით მიჰყავს ბ. ჯორჯაძეს გონიერება? ის ჯერ გვარწმუნებს — «ინტელიგენცია, როგორც ადამიანთა გონიერების და თვით-ცნობიერების გამომხატველი, წოდებას და კლასს არ შეადგენსო» (იქ.). და მართლაც, თუ კი მისი დამახასიათებელი თვისება გონიერებაა და არა თვით მისი ცხოვრების პირობები, რასაკვირველია რაიმე კლასს ან კლასის ნაწილს მაინც ვერ უნდა წარმოადგენდეს. მასში, როგორც გონიერებაში, ერთდება ყველა კლასი, მთელი ერი და ის ყველას თანაბარი სიმართლით ეპყრობა. ასე აზროვნობს ბ. ჯორჯაძე, მაგრამ ამ ილუზიას რამდენიმეთ თვითონვე აქრობს, როცა გვეუბნება: «ისტორიულ მსვლელობაში ინტელიგენციას ხშირად წოდებრივი და პროფესიონალური ხასიათიც ჰქონიაო». ამისი მიზეზი ყოფილა მისი გონებრივი განუვითარებლობა, ხოლო დღეს გაგონიერებულა და ეს მისი წინანდელი ხასიათი დაუკარგავს. მაგრამ ამასთანავე ბ. ჯორჯაძე გვატყობინებს, რომ ევროპაში ინტელიგენცია

*) 1898 წ. „კვალში“ ჩვენ დავსტამბეთ წერილები ინტელიგენციის შესახებ (№ 12 და სხვ.), და ყველა ის, რასაც ახლა ბ-ნი ჟორჟაძე ინტელიგენციაზე სწერს, იქ დარღვეულია. ასე რომ ამ სამი წლის წინეთ გაგვიტარებია კრიტიკაში ის მწერალი, რომელიც მხოლოთ წელს გამოჩნდა! მწერლობის ეთიკა მოითხოვდა ბ. ჟორჟაძეს ჯერ დაერღვია იქ გამოთქმული აზრები და მათ ალაგას სხვა დაემყარებია. ის კი ამას არ შვრება და ასე ხელ ახლა იწყებს დარღვეული აზრების ისევ განმეორებას. ეს კიდევ ცოტაა, ასე გასინჯეთ, „მოამბის“ მე-5 ნომერში მოთავსებულ წერილში ის იკვლევს „კვალის“ შეხედულებას ინტელიგენციაზე, გლეჯს თითო ფრაზებს სულ სხვა საგანზე დაწერილ წერილებიდან და თან სკვნის: „ამგვარია „კვალის“ შეხედულება ინტელიგენციაზეო“, ხოლო ჩვენს სტატიებს ინტელიგენციის შესახებ სრულიადაც არ იხსენიებს! ამას ჰქვია მოწინააღმდეგეთა აზრის გაგება? კარგია ბ. ჟორჟაძე აგვიხსნიდეს პოლემიკის ამ საარაკო წესს.

ბურჟუაზიას ჰქვიანო. თუ ეს ასეა, ინტელიგენცია კლასი ყოფილა და, მაშასადამე, წინანდელი ხასიათის დაკარგვა აღარ შეეძლო. ის ისევ კლასი ან კლასის ნაწილი დარჩენილა, მხოლოთ ადგილი გამოუცვლია, თავად-აზნაურობის მაგიერ ბურჟუათ გადაქცეულა. და ამას გვიმტკიცებს თვით ბ. ჯორჯაძის მაგალითი. ის იცავს ბურჟუაზიის ინტერესებს და აქეთკენ იწვევს ინტელიგენციასაც. მაშასადამე, მას სურს ის გადააქციოს ბურჟუათ და მით მას კლასიური ხასიათი მისცეს. აქაც მისი სიტყვა და საქმე ერთმანერთს სცილდებიან და თუ პირველით გვაჯერებს ინტელიგენციას წოდებრივი ხასიათი აღარ აქვსო, მეორით ის მეცადინეობს სწორეთ ასეთი ხასიათი მისცეს და მით ფაქტიურათ ბურჟუაზიული ინტელიგენცია შექმნას. ამისათვის მის მიერ დასმული კითხვა «ხალხი და ინტელიგენცია» («მოამბე» № 5) ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. რაკი „მშრომელი ხალხი“ ბურჟუაზიის მონა-მორჩილია, ხოლო ინტელაგენცია კი ამ მორჩილების გამამტკიცებელია, განა აშკარა არ არის ხალხის და ინტელიგენციის ურთიერთობა? ინტელიგენციამ, მსგავსათ ბ. ჯორჯაძისა, ხალხს ეს ჩვენი მხსნელი «მორჩილება» უნდა უქადაგოს და ამნაირათ თავისი კლასიური მოწოდება შეასრულოს...

ასეთია ბ. ჯორჯაძის ლოღიკური მოსაზრება «ხალხსა და ინტელიგენციაზე» და რამდენიც უნდა სწეროს ამის შესახებ და «კვალისავან» უთავბოლოთ ამოგლეჯილი ფრაზებით იხელმძღვანელოს, ის მაინც ამ ლოღიკაში ჩარჩება.

---

დასკვნა: ჩვენი დღევანდელი პრესის მდგომარეობა ასეთია: ორს უკვე არსებულ მიმართულებას—კონსერვატიულს («ივერია») და დემოკრატიულს («კვალი») ემატება მესამე მიმართულება—მიმართულება ბურჟუაზიული («ცნ. ფურც.»). პირველი ორი ორგანო თავ-თავის მიმართულებას ჯერ-ჯერობით მტკიცეთ ადგანან, ხოლო მესამე კი რყევაშია: აქ ბ. არჩ. ჯორჯაძის ბურჟუაზიულ პროგრამას თან დასდევს კონსერვატიული მიდრეკილება ბ. კ. აბაშიძისა და ზოგი რადიკალურ-ლიბერალური მოსაზრებანი, რამდენათ ეს თფილისის საქალაქო კითხვის ახსნაში გამოიხატა. ამ სამ აზროვნებაში უეჭველია ბოლოს ერთ-ერთი გაიმარჯვებს და «ცნობის ფურცელიც» მას დარჩება. რომელი იქნება ეს გამარჯვებული - ამას მომავალი დაგვანახვებს. დღეს-დღესეულობით კი ბევრი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ რყევიდან ბურჟუაზიული მიმართულება გამოვა გამარჯვებული და მაშინ ბ. არ. ჯორჯაძის მეორე დასიც დაარსებული იქნება. ეს დასი შეიქმნება ქართული კაპიტალის ინტერესების დამცველი და, თანახმათ ბ. ჯორჯაძის პროგრამისა, გამოაცხადებს: მე ვარ სამშობლოს ერთათ ერთი ბურჯი და ჩემი წინააღმდეგი სამშობლოს გამცემიაო... «მშრომელი ხალხი», რასაკვირველია, ამას არ დაიჯერებს და მოხდება ის, რაც ასე აფრთხობს ბ. ჯორჯაძეს...

ამ დავაში ჩვენ მუდამ ერთი ადგილი გვეჭირება. ჩვენი პროგრამა მოკლე და ნათელია: ქართული ენის, ლიტერატურის და საზოგადოთ კულტურის საშუალებით ქართველი «მშრომელი ხალხის» თანდათანი გაცნობიერება, გამძლავრება და თანამედროვე ცხოვრების შეგნებულ რაზმათ გადაქცევა—ერთი მხრით, მისი თვით-მოქმედების და დამოუკიდებელი მოძრაობისთვის ხელის-შეწყობა—მეორე მხრით, აი ჩვენი იდეალი, აი ჩვენი პროგრამა. და ჩვენ გვგონია, ერის დიდი უმრავლესობის ამ გზაზე გამოსვლა და ისტორიულ მსვლელობაში აქტიური მონაწილეობის მიღება—ერთათ ერთი ნამდვილი საერო და იმავე დროს თანამედროვე მიმდინარეობაა...

ნ. ჟორდანია.

---

## სხვადა-სხვა-ამბები

წარსულ კვირას მოხდა დრამატიულ საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება. კრებაზე არ იქმნა განხილული საზოგადოების წლიური ანგარიში, რადგანაც იგი არ იყო დაბეჭდილი, რათა საზოგადოება ზედმიწევნით გაცნობოდა მას. დაევალა რა მთელს გამგეობას წარსული წლის ანგარიშის დაბეჭდვა და მის განსახილველათ კრების მოხდენა, კრება შეუდგა ახალი გამგეობის არჩევანს. ძველმა გამგეობის წევრებმა ერთხმათ უარი თქვეს გამგეობის წევრობაზე მომავალ წელში. მიუხედავათ ამისა, ორი მათგანი ვ. ა. სულხანიშვილი და პ. ი. ყიფიანი საზოგადოების ერთხმათ თხოვნის შემდეგ კვლავ დარჩენ გამგეობის წევრებათ. ახლებმა ყუთი დაიდგეს—ნ. გ. ქართველიშვილმა, შ. ზ. დედაბრიშვილმა, ს. ზ. მგალობლიშვილმა, გ. ს. დეკანოზიშვილმა, გ. ს. რცხილაძემ, ვ. ახალშენიშვილმა, გ. გვაზავამ და გ. ქურდიანმა. არჩეულ იქმნენ მხოლოთ პირველი ხუთი კაცი, ხოლო გ. ქურდიანი კანდიდატათ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ბ-ნი სულხანიშვილი, ხოლო ხაზინადრათ პ. ყიფიანი.

---

გზათა სამინისტროს განუზრახავს შემოიღოს სახაზინო და კერძო რკინის გზებზე მოსამსახურეთა და მუშათა დაზღვევა. დაზღვევა იქნება ორგვარი: უბედურ შემთხვევათა და სიკვდილის გამო და დაზღვევა მოხუცებულობისა გამო. უნდა შევნიშნოთ, რომ მოხუცებულობისაგან დაზღვევა პირველი იქნება ამ შემთხვევაში რუსეთში.

---

მთავრობას გადაუწყვეტია შემოიღოს ვადა პერიოდულ გამოცემათა გაფრთხილებისათვის: პირველ გაფრთხილებას ექნება ძალა ერთი წლის განმავლობაში, მეორეს—ორ წელიწადს.

---

საიუბილეო გამოფენის კომიტეტმა საბოლოვოთ შეიმუშავა და უკვე დაამტკიცა გამოფენის გეგმა.

---

სახალხო კითხვათა კომისიას და წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკას მიუმართავს ქალაქის თვითმმართველობისათვის შემწეობის აღმოსაჩენათ. პირველი ითხოვს 500 მ. მეორე—100 მ.

---

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ბ. ზავადსკიმ სთხოვა პოლიციას, რათა მან დახმარება აღმოუჩინოს სამოსწავლო მთავრობას მოსწავლეთა ყოფა-ქცევის თვალ-ყურის დევნაში საგარეო ადგილებში.

---

ოფიციალურ ცნობებით 1900 წელს თფილისის გუბერნიაში მომხდარა 164 მკვლელობა; თავი მოუკლავს 17-ს.

---

ამ ჟამათ თფილისის ქალაქის სამოსწავლო კომისია

იხილავს ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის რეფორმის პროექტს. ამ პროექტით სახელოსნო სასწავლებელში იქნება 4 კლასი. გარდა დურგლობისა, მჭედლობისა და ზეინკლობისა განზრახულია შემოიღონ მხატვრობის და სხვა ხელობის სწავლებაც, რაც გამოწვეული იქნება ადგილობრივ მოთხოვნილებით. სწავლა იქნება უფასო. გარდა რუსულისა სკოლაში ასწავლიან აგრეთვე ქართულსა და სომხურს, გეომეტრიას, ფიზიკას, საბუნებისმეტყველო საგნებს, ხისა და ლითონის დამუშავებას, ბუღალტერიას, ხაზვას, კანონებს, ჰიგიენას და სხვ. სკოლაში მიიღებიან საქალაქო სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი არა ნაკლებ თორმეტისა და არა უმეტეს ხუთმეტის წლისა.

საეპარქიო სასულიერო უწყების განკარგულებით, იმ სამრევლო სკოლებში, სადაც უმეტესი რიცხვი ქართველები სწავლობენ, სწავლება ქართულ ენაზე უნდა სწარმოებდეს.

თფილისის ნოქრების საურთიერთო დახმარების საზოგადოებაში წევრობის სურვილი განუცხადებიათ ჯერჯერობით 150 კაცს.

თფილისის კომერციულ სასწავლებელთან დაარსებული საბუღალტერო კურსების მოქმედება მომავალი წლიდან შედარებით ფართოვდება.

ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ 1887 წლის ქაღალდის 25 მანეთიანი, თუმნიანი, ხუთ მანეთიანი და 1866 წლის 100 მანეთიანი ხმარებაში იქნება მხოლოთ 1901 წლის 31 დეკემბრამდე.

«კვალის» რედაქციამ მიიღო ორი ახლად გამოცემული წიგნი: «გვირგვლას ველი» ივ. ბუქურაულისა, ამ წიგნში მოთავსებულია აგრეთვე პატარა სურათი «იმედისა» «მციევა, მშიან», და «კანდელი» მ. ლელაშვილისა. პირველი წიგნი გამოცემულია ძმ. იმედაშვილების მიერ, ხოლო მეორე — ქველ-მოქმედ გამომცემელთაგან.

## კორესპონდენციები.

**ჭიათურა.** ბევრსა სწერენ დღეს გაზეთებში ჭიათურაში შავი-ქვის წარმოების დაცემის შესახებ და, მგონი, კიდევ ბევრი დაიწეროს მის უკუღმართობაზე, თუ შავი-ქვის მწარმოებელნი გონივრულად არ მოიქცნენ და მალე არ გადაწყვეტენ ის საკითხი, რომელიც მას ბერლინის სინდიკატმა წარმოუდგინა. საქმე იმაშია, რომ ბერლინის სინდიკატს, როგორც ეს გვაუწყა კომისიამ და რომლის განხორციელებას ასე გულით ცდილობს ბ. დ. ზაქრაძე, მოუნდომებია შეუერთდეს შავი-ქვის მწარმოებელთ. პირობები მძიმე არ არის: სინდიკატს შემოაქვს თავის მხრით საჭირო ფული, ხოლო მწარმოებლებმა უნდა შეიტანონ თავიანთი მამული და წარმოება. დარჩენილ ფასს, რაც მარგანეცი საწყობში ჩამოტანილი დაჯდება, სინდიკატი უკლებ გვირაობით იძლევა, გარდა ამისა საერთო სა[illegible]ჯათ იქნება შემდგარი, რაც სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის სჭირდება ქვის წარმოებას, ეს ხარჯი გამოირიცხება მოგებიდან და წმინდა მოგებას ამხანაგობა თანასწორათ გაიყოფს. კომისიამ აგვიხსნა მწარმოებელთ, რომ შავი-ქვის წარმოების კვლავ აღორძინებისათვის საჭიროა მწარმოებელნი შეუერთდნენ ხსენებულ სინდიკატს. ამ საგანზე კრებამ გასტანა ორ დღეს, მაგრამ საქმე არ დაბოლოვებულა, რადგანაც მწარმოებლების მხრივ ბევრი არ დაესწრო და ამიტომ ვთხოვეთ კომისიას ჭიათურაში მოსულიყო და ამ დღეებში მოველით კიდეც. საუბედუროთ, როგორც ეს ჩვეულებათ არის, მწარმოებელთა შორის მსურველთ გარდა გამოჩნდნენ არამსურველნიც, რომელნიც გაიძახიან: «ჩვენი მამული ისევ ჩვენ გვქონდეს, რა ვიცით, იქნებ ვიზარალოთ და რაღა ვქნათო». მაგრამ ამ «რა ვიცით და რაღა ვქნათომ» ბევრი საკუთარი ლუკმა გამოგვაცალა პირიდან და ასეთმა ჩვენმა დაუდევრობამ შავი ქვის ფასიც ხომ დასცა როგორც მსოფლიო ბაზარზე, ისე თვით ჭიათურაშიაც. დღეს რომ ჭიათურის ბაქნებზე 5 და 6 კაპეიკ ნახევრათ ფუთ ქვას ვაძლევთ საუკეთესო ღირსებისას, ამას როგორ არ ექნება შესაფერი ფასი საზღვარ-გარეთ, მაგრამ ამას ჩვენ არავინ გვიმსჯელს; ან რათ უნდა გაგვიმხილონ, როდესაც კონკურენციის გამწევი არავინა ჰყავთ და ჩვენ კი იძულებულნი ვართ ამ ფასში ქვა მივცეთ, რადგანაც ზოგს წინდაწინ გვაქვს დამზადებული, ზოგს უკანასკნელი შეძლება იჯარაში გვაქვს მიცემული. რასაკვირველია, ჩვენი ხელიდან გამოცლა არაფრათ ესიამოვნებათ ჭიათურის ჩარჩებს და რომ მათ ხელში დავრჩეთ ტყავის საძრობათ, ძალიან გვიკეთებენ გულს, რაიცა ჩანს იქიდან, რომ როგორც კი გაიგეს, რომ ბერლინის კაპიტალისტების წარმომადგენელმა მიგვიწვია პირობების შესაკრავათ, უცბათ ნახევარი და 1 კაპ. მოგვიმატეს ფუთზე ფასი. მაგრამ ეს განა საკმაოა?! გვპირდებიან რვა-ცხრა კაპიკათაც გავსდითო, მაგრამ ამით ეხლა გულს გვიკეთებენ, რადგანაც უნდათ, რომ დაწყებული საქმე ჩაგვიფუშონ და მერე ისევ ტყავი გაგვაძრონ. ხმა დადის, რომ ბერლინის სინდიკატის ხელში ჩაგდებას თითონ ცდილობენ, რათა მაშინ საერთო ძალით შეეძლოთ მსვლელობა თავიანთ რჩეულ ასპარეზზე.

ამნაირათ, დღევანდელი კითხვა, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ყველასათვის სულ-საყურელია და ამიტომ საჭიროა გონივრულად მოვიქცეთ ამ შემთხვევაში. და რადგანაც ჯერჯერობით დრო კიდევ ხელთა გვაქვს, ნუ გამოვიცლით დაუდევრობით ხელიდან ამ ერთად-ერთ საშუალებას, თუ გვინდა, რომ ჭიათურის შავი-ქვის წარმოება ხელ-ახლა აღორძინდეს. რით გათავდება ეს საქმე თავის დროზე ვაუწყებთ მკითხველებს.

ა. ბახულიანი.

**ს. მათხოჯი** (ქუთაისის მაზრა). წლევანდელი წელიწადი არა სასურველი შეიქმნა აქაურ მეაბრეშუმეთათვის. მეაბრეშუმეობას უმეტესათ ქალები ეტანებიან და არც კაცები არიან გულზე ხელ-დაკრეფილნი. ნამეტნავათ წინანდელი წლებით წახალისებულნი, ფასების აწევით და მეტის მოგებით (წასულ წელს ფუთი აბრეშუმის პარკი იყიდებოდა 14-დან 45 მანეთამდის). წელს კი სულ სხვანაირათ დატრიალდა აქაური მეაბრეშუმეების ბედ-იღბალი. ნათქვამია: «ოსტატი ჩიტი ორივე ფეხით გაებმება მახეშიო». სწორეთ ასე დაემართა ზოგიერთ ჩვენ მეაბრეშუმეებს. რა თქმა უნდა, როგორც წინეთ, წელსაც თავის დროზე ჩამოიტანეს აბრეშუმის თესლები, მხოლოთ მყიდველების უმეტესობა თავის დროზე თესლის შეძენას არ ფიქრობდა, რადგანაც ბოლო დროს დარჩენილ თესლებს იაფათ ვიყიდითო (წასული წლის დაჩვეულნი) და ის კი არ იცოდნენ, ბოლო დროს ნაყიდი თესლები არ გამოდგებოდა. თესლი მართლაც გაიაფდა. 7 მისხლიან თესლს ყიდდენ 30 კაპ. თფილისის სადგურის შემოწმებულს. ხმა გავრცელდა სოფელში თესლი გაიაფდაო, ვისაც არ ჰქონდა ნაყიდი იმან ორი და სამი კოლოფი იყიდა, ვისაც ჰქონდა ნაყიდი წინეთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმანაც კიდევ იყიდა. დასრულდა თესლების გაჭრობაც და აღმოჩნდა კიდევ ბევრი გაუყიდავი თესლი (უფრო ბევრი მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობაში, რადგანაც ის დაკლებულ ფასათ არ ყიდდა) სხვა-და-სხვა ფირმებისა. როგორც ჩვენი მეაბრეშუმეები მოელოდენ, იაფათ ნაყიდი თესლებიდან უფრო მოვიგებთო, მოლოდინი არ გაუმართლდათ. ფოთოლი ძვირი იყო, რადგანაც ცუდი ამინდების გამო ბევრი უვარგისი გამოდგა და ხვავი არ ჰქონდა. თითო ძირი თუთის ფოთოლი იყიდებოდა 1-დან 3 მანეთამდის (წასულ წელს კი ამისთანა ძირი ღირდა 30—60 კ.) ასე რომ თითო ფუთი პარკის გამოსავალ ჭიას 16 მანეთის ფოთოლი მოუნდა შრომის გარდა, რის გამოც წელს მეაბრეშუმეები ძლიერ დაზარალდენ. წელს აბრეშუმის ჭიებიც ბევრი გაფუჭდა, საზოგადოთ აბრეშუმის მოსავალიც ნაკლები იყო. ამას მოჰყვა აბრეშუმის ფასების დაცემაც, რამაც ხალხს წელი მოსწყვიტა. ერთი ფუთი წმინდა არჩეული პარკი 8 მან. იყიდებოდა პირველ შემოსვლიდან. რა თქმა უნდა, აბრეშუმის ფასების დაცემა საზღვარ-გარეთ ომიანობამ გამოიწვია, მაგრამ იმდენათ კი არა, რამდენათაც ეს აქ დასცეს და კრიზისში ჩაუდგენ მყიდველები ისედაც დაზარალებულ მეაბრეშუმეებს. ამ მხრით ერთათ-ერთი იმედი და ფასების ამწევი ქუთაისის გუბ. მეაბრეშუმეთა ამხანაგობა უნდა ყოფილიყო, რაც მისი დანიშნულებაა, როგორც ეს წასულ წლებში იყო, მაგრამ წელს რაღაც მიზეზით მწარმოებლებს ვერ მიაწოდა ნაწარმოების საღირალი და თითქმის დაკლებულ ფასათაც ყიდულობდა და ამხანაგობის გამგე თავის კაცებს 8 მან. ზევით ყიდვის ნება არ მისცა, მაშინ, როცა კერძო ვაჭრები 10-დან 11 მანეთამდის ყიდულობდენ. წელს ერთი მესამედი პარკის მოსავლისა გაიყიდა ფუთი 8 მან. და 8 მან. 50 კაპ., ხოლო დანარჩენი კი ცოტა აწევით 10-11 მანეთამდის. დღეს კი 12 მან. იყიდება ფუთი. სად იყო მაშინ ამხანაგობის გამგე? როცა 8 მ. იყიდებოდა, ცდილობდა თუ არა ფასების აწევას? სრულიადაც არა! მან მხოლოთ მაშინ მისცა ნება თავის მყიდველებს ფასების აწევისა მაზანდაზე (ზევით ღმერთმა დაიფაროს), როცა საუკეთესო პარკი გაიყიდა 11 და 12 მან. რა თქმა უნდა, მეაბრეშუმეებმა უფრო მეტი იქ გაყიდეს, სადაც მეტს ღებულობდენ, მაგრამ ფოთოლის ფასი მაინც ვერ გაასწორეს; ზოგიერთმა თუ ფოთოლის ფასი გაასწორა უვალოთ, მორჩენით არაფერი მორჩენია თავიანთი საჭიროების დასაკმაყოფილებლათ. ვინ იცის, რამდენი კაცი ჰფიქრობდა აბრეშუმის ფულით ბეგრის და სხვა მოთხოვნილების გადახდას. მაგრამ მათი ფიქრი ფიქრათ დარჩა და მათი ნაშრომ-ნაღვაწი ჩაიგდეს მუქთათ ხელში კიდეც უცხო ვაჭრებმა.

გ. მელაძე.

---

## რუსეთის ცხოვრება.

ცნობილი ყოველთვიური ჟურნალი «Жизнь» მთავრობის განკარგულებით სამუდამოთ მოსპობილ იქმნა.

⊖⊖ მომავალი 1902 წლიდან სამხედრო საექიმო აკადემიაში შესვლის ნება ეძლევათ რეალურ სასწავლებლებში კურს დამთავრებულთაც. მოეთხოვება მათ დამატებითი გამოცდა მხოლოთ ლათინურ ენაში ოთხი კლასის კურსით. მსურველთ ნება ეძლევათ ეს გამოცდაც გადასდონ ერთი წლით, და მხოლოთ მეორე კურსზე გადასვლისას კი უეჭველათ უნდა ჩააბარონ მოხსენებული გამოცდა. ეს წესი დროებითია და შემოღებულ იქნება ჯერ ჯერობით საცდელათ ხუთი წლით.

⊖⊖ ხელმწიფე იმპერატორმა 1 ივნისს უმაღლესად [illegible]ინება და ბრძანა: 1) იმპერატორის უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელნიც ამ სასწავლებლიდან უწესოებაში მონაწილეობის მიღებისათვის დაითხოვეს და დასასჯელათ ამ ჟამათ ჯარში სამხედრო სამსახურს ასრულებენ და რომლებსაც I ხარისხის მეღავათი აქვთ ოჯახის მდგომარეობის გამო, ანუ ისეთი ფიზიკური ნაკლულევანებას აქვთ, რომ არ შეუძლიანთ ჯარში ყოფნა, ეხლავე დათხოვნილ უნდა იქმნენ სავალდებულო სამსახურიდან; 2) ყველა დანარჩენ სტუდენტებს, რომელნიც ამ ჟამათ სასჯელის მაგივრათ სამხედრო სამსახურს ასრულებენ, უნდა დაუბრუნდეს ის სამხედრო სამსახურის უფლებანი, რომლებიც ჰქონდათ, იმის მიუხედავათ, თუ რამდენი ხნით აქვთ გადაწყვეტილი ჯარში სამსახური; 3) კანონის მიუხედავათ, ყველა იმ სტუდენტებს, რომლებიც ეხლა სამხედრო სამსახურს ასრულებენ სასჯელის მაგივრათ, სამსახურის ვადა უნდა დაეთვალოსთ იმ თვის პირველი რიცხვიდან, როცა სამსახურში შესულან.

⊖⊖ უმართებულესი სენატის განმარტებით, მუშათა სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ზნეობის დასაცველათ სავალდებულო დადგენილებათა შემოღება და გამოცემა შეადგენს გუბერნიის საფაბრიკო საკრებულოთა მოვალეობას და არა საერობო დაწესებულებათა.

⊖⊖ გაზ. «გრაჟდანინის» სიტყვით, უკანასკნელ სხდომაზე სახელმწიფო საბჭოს საბოლოოთ განუხილავს ფინლიანდიაში შემოსაღებ სამხედრო ბეგარის პროექტი, რომლის შესახებაც ზოგნაირი აზრები გამოთქმულა ამ სხდომაზე და ახლა მოუთმენლათ ელიან უმაღლესს დამტკიცებას.

⊖⊖ საერო განათლების სამინისტროსთან დაარსებულა განსაკუთრებული კომისია, რომელიც არკვევს კითხვებს, შესაძლებელი იქნება თუ არა მოისპოს საკონკურსო გამოცდები უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში შესვლის მსურველთათვის.

⊖⊖ სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის სადგურ ბორისოგლებსკში ამ უკანასკნელ ხანებში შემოუღიათ ოცდათოთხმეტი საათის მორიგეობა მატარებლის შემდგენელთათვის. უეჭველია ასეთი ზომა შემოღებულია ეკონომიის დასაცველათ, მაგრამ, როგორც სამართლიანათ შენიშნავს «Тамб. Г. В.», ეს ზომა სახიფათოა თვით რკინის გზის მეპატრონეთა ჯიბისათვისაც. შეუძლებელია 24 საათი ისე იმუშაოს ადამიანმა, თუნდ რკინის გზის უმდაბლესი აგენტიც იყოს იგი, რომ ძილი არ მოეკიდოს, არ დაიკანთოს და ამის შედეგი კი შეიძლება ისეთი რამ უბედურება იქნეს, რომელიც დიდ ზარალს მოუტანს რკინის გზას. შესაძლებელია ვაგონები დაიმტვრას, საქონელი გაფუჭდეს ან ადამიანი დასახიჩრდეს, და ყოველ ამისთანა შემთხვევაში პასუხის მგებელი რკინის გზაა. მარტო ეს მოსაზრებაც საკმარისია, რომ ასეთი ულმობელი წესები არ იქნეს შემოღებული მდაბალი მოსამსახურეთათვის, თუ მინისტრის ცირკულიარი ავიწყდებათ, რომლითაც აკრძალულია დღეღამის წაზმული მორიგეობა.

⊖⊖ კონსტანტინოპოლის მაზრის უკანასკნელ საერობო კრებას, თანახმათ გლეხების წარმომადგენელ ხმოსნების წინადადებისა, დაუდგენია: დაარსდეს ორი სამას-სამას მანეთიანი სტიპენდია, გლეხების ყმობიდან განთავისუფლების 40 წლის შესრულების სახსოვრათ. ამ სტიპენდიებით უნდა იზრდებოდენ საშვალო და უმაღლეს სასწავლებლებში ერთი ქალი და ერთი ვაჟი. იმავე კრებას იმავე ინიციატივით მიუღია მეორე დადგენილება, რომელიც თხოულობს, რომ 19 თებერვალს (მანიფესტის გამოცხადების დღეს) სახალხო სკოლებში ჩვეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებრივ მეცადინეობის ნაცვლათ გაიმართოს სახალხო კითხვები.

⊖⊖ 5 ივნისს ს.-პეტერბურგში გაიხსნა პირველი ქალთა აფთიაქი. ამ აფთიაქის გახსნის ნებართვა მიეცა ქ-ნ ა. ბ. ლესნევსკაიასას, რომელსაც ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზი ეღობებოდა წინ, მაგრამ მისმა ენერგიულმა მეცადინეობამ ყოველივე სძლია და მიაღწია კიდეც მიზანს.

⊖⊖ სარატოვის მაზრაში, სოფელ შიკოვოში ადგილობრივმა საერობო ბოქაულმა დააჯარიმა 2 ათასი მცხოვრები თითო ხუთ-ხუთი შაურით. ამ სოფლის მცხოვრები გლეხები იღებენ იჯარით მიწას სარატოვის თვითმართველობისაგან. ამ მიწაზე გადის გზა. სოფლელებს თან-და-თან უვიწროებიათ გზა, ზოგს მოუჭრია ერთი არშინი, ზოგს ერთი საჟენიც. აი ამისთვის დაუჯარიმებიათ გლეხები. ასეთი განკარგულების გამო გლეხებმა გამართეს ყრილობა, რომელზედაც მეტათ სჩაყრობდენ და აცხადებდენ თავის უკმაყოფილებას.

⊖⊖ ქ. აზოვში ამას წინეთ გაირჩა სასამართლოში საყურადღებო საქმე. ამავე ქალაქის შვიდ მცხოვრებს ედებოდა ბრალი პოლიციის შეურაცხყოფაში. ჩიოდა თვით პოლიცია. ამბავი მომხდარა პოლიციის მიერ ცეცხლის ჩაქრობის დროს. მცხოვრებლები არ იყვნენ თურმე კმაყოფილნი პოლიციის მოქმედებით, რომელიც არ გამოჩნდა დროზე ცეცხლის ჩასაქრობათ და არც წყალი მოეპოვებოდათ, ასე რომ ცეცხლი თავისუფლათ მძვინვარებდა. სასამართლოში მოწმების ჩვენებით აღმოჩნდა, რომ პოლიციას შეურაცხყოფა მიაყენა არა მარტო იმ შვიდმა კაცმა, არამედ მთელმა საზოგადოებამ, რომელიც ისე იყო თურმე აღელვებული, რომ ცემაც კი უნდოდა პოლიციისა. სასამართლომ შვიდ ადგილობრივ მცხოვრებს გადაუწყვიტა თითო მანეთი ჯარიმა და, კინიცობაა, ამას არ გადაიხდიან, მაშინ თითო დღით დაპატიმრება.

## რ უ ს ე თ ი ს მ წ ე რ ლ ე ბ ი.



ალ. პისემსკი. ივ. გონჩაროვი. ალ. ოსტროვსკი.

## ს ა ზ ღ ვ ა რ - გ ა რ ე თ.

**ინგლისი.** ამას წინათ ჩვენ ვწერდით, რომ ინგლისიდან თანდათან მეტი ხალხი სახლდება ახალშენებშიო. ამის მიზეზი, რასაკვირველია, გაჭირვებაა. ერთ ასეთ გადასახლებას მაგალითათ მოგვითხრობენ გაზეთები. უელსის პატარა დაბაში, კიფეზდში, ეს ერთი ხანია უთანხმოებაა ლორდ პერინეს და მის ქვის მტეხელ მუშებს შორის. ლორდი განსაკუთრებით დიდი მტერია ყოველ ნაირ ტრედუნიონიზმის და აი ის ითხოვს თავის დაბაში ასეთი კავშირი დაირღვას და მის ალაგას «თავისუფალი შრომა» ჩადგეს. ქვის მტეხელები ამის დიდი წინააღმდეგები არიან და აგერ მთელი ზამთარი ამ დავაში გაატარეს. გაზაფხულზე ხელახლა მოხდა მოლაპარაკება. პერინემ ხელმეორეთ განაცხადა. მე ნებას არ მივცემ ტრედუნიონისტებს ჩემთან იმუშავონო. თუმცა ლორდი 3.000 მან. ზარალობდა ყოველ დღე, მაგრამ გადასწყვიტა ან წააგოს მთელი თავისი ქონება ან თავისი გაიტანოს. ამისათვის მან მიმართა უკიდურეს ღონეს: გამოაცხადა, ყველა ქვის მტეხელებმა დასტოვონ დაბაო. ამ ბრძანების სისრულეში მოყვანა მით უფრო სავალდებულო იყო მუშებისათვის, რომ დაბის ყველა სახლები ლორდისა არის და მდგმურები იძულებულ გახდენ გადასახლებულიყვენ. უმრავლესობა წავიდა ახალშენებში. ლორდმა მათ მაგიერ მოიყვანა ახალი ხალხი, რომელსაც არაფერი გაეგება ამ საქმისა. მაგრამ გადასწყვიტა მათ ასწავლოს და გაწვრთნას, რისთვისაც საჭირო იქნება რამდენიმე წელიწადი.

-- 3 ივნისს ლონდონის უმთავრეს პარკებში მოხდა დემონსტრაციები. დემონსტრაცია გამოიწვია სიფხიზლის საზოგადოებებმა და მონაწილეობა მიიღო 32.000 კაცმა. განსაკუთრებით ბევრი იყვენ ბავშვები. დემონსტრაციების მიზანი იყო გამოცემული მთავრობის ის კანონი, რომლის ძალით მედუქნეთ აეკრძალებათ მაგარი სასმელები მიყიდონ ბავშვებს. ეს რეფორმა მით უფრო საჭიროა, რომ ინგლისში ბავშვები ძალიან ეტანებიან მაგარ სასმელებს და კიდევაც ხშირათ ითვრებიან.

**საფრანგეთი.** კანონ-პროექტი კონგრეგაციების შესახებ თითქმის შეუცვლელათ გადის სენატში. კლერიკალებს და მათ ამყოლ-დამყოლს დიდი იმედი ჰქონდათ სენატის, აქ მაინც ამოხდება სული პროექტსო, მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ. პირიქით, ვალდეკ-რუსოს სიტყვას ბევრის წინააღმდეგ ისეთი აღფრთოვანებით მიეგებენ სენატში, რომ გადასწყვიტეს ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა დაბეჭდონ და გააკრან საფრანგეთის ყველა სოფლის განცხადებებზე. აი რა თქვა აქ ორატორმა, სხვათა შორის: «მე მაკვირვებენ ისინი, ვინც პროექტის წინააღმდეგ ლიბერალიზმის სახელით გამოდიან. წინეთ ლიბერალები სხვა აზრისა იყვნენ, ოცი წლის წინ ისინი გვაფრთხილებდნენ მონასტრების წინააღმდეგ და ებმებდნენ კანონებს მათთან საბრძოლველათ. როგორ მოხდა, რომ ახლა ისინი ბერებს უამხანაგდებიან და მათ გამაგრებას მეცადინეობენ, ეს მაშინ, როცა მათი გავლენა კიდევ უფრო გაძლიერდა და სახელმწიფოში მეორე სახელმწიფო შექმნეს, ისინი ემუქრებიან სამოქალაქო საზოგადოებას, დაეპატრონენ ერის სვინდისს და დროა გამოვფხიზლდეთ...»

**საბერძნეთი.** ამ დღეებში ოსმალეთის მთავრობამ გაანთავისუფლა ოცი წლის ტყვე კაპიტანი კუზიუსი, რომელიც 1877 წ. საბერძნეთის პროვინციის თესალიის აჯანყებას ოსმალეთის წინააღმდეგ მეთაურობდა. ის ამ დროს შიშის ზარს გვრიდა მთავრობას და თესალიის თავისუფლებისათვის იღვწოდა. როცა თესალია შეუერთეს საბერძნეთს, მაშინ კუზიუსი გაემგზავრა მაკედონიაში, სადაც ხალხი ოსმალეთის წინააღმდეგ უნდა აეჯანყებია. აქ კი გზაზე ის და 48 სხვა მეომარი ოსმალებმა დაიჭირეს და ციხეში ჩაყარეს. კუზიუს ხელსა და ფეხში გაუყარეს მძიმე ბორკილები და ვიწრო რკინის გალიაში ჩაამწყვდიეს. გალია წვეტიანი ლურსმებით იყო მოჭედილი და როგორც შიგ ტყვე გაინძრეოდა, ლურსმნებს ხვდებოდა და სხეული ეხვლიტებოდა. ორ დღეში ერთხელ შეუგდებდნენ პურის ნაჭერს. რამდენიმე წლის მერე ბორკილები შეუმსუბუქეს, ხოლო 1897 წ. ბორკილები სრულებით ახსნეს. მხოლოთ ინგლისის და იტალიის ელჩების დახმარებით გაანთავისუფლეს წელს ტყვეობისაგან კუზიუსი და მასთან ერთათ ცოცხალი დარჩენილი 21 ამხანაგი. ის ახლა 77 წლისაა და საბერძნეთის მთავრობას აზრათ აქვს მუდმივი პენსია გაუჩინოს.

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** აგერ ეს რამდენი ხანია რაც გაზეთებში ყოველ დღე ვკითხულობთ დღეს თუ ხვალ ომი გათავდებაო, მაგრამ, როგორც ვიცით ჯერ-ჯერობით დღემდის არც ერთი იმისთანა საბუთი არ არის რომ მართლაც მოველოდეთ ინგლის-ტრანსვაალის ომის ახლო მომავალში შეწყვეტას. ის ხმები, ვითომც პრეზიდენტ კრიუგერს და ქ. ბოტას მოლაპარაკება ჰქონდეთ ინგლისის მთავრობასთან ზავის ჩამოგდებაზე, ყოველ საფუძველს მოკლებულია. ამას უარყოფენ თვით ინგლისის მთავრობაც და ბურებიც. ხოლო ბურების უკანასკნელ გამარჯვებამ ვილმანსტრუს ახლოს დიდი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც ინგლისელებზე, ისე ბურებზე. ამ გამარჯვებამ უკანასკნელნი ხელ-ახლა განამხნევა, ხოლო ინგლისელნი გაამწვავა, უფრო მეტის ძალით და სიბრაზით გაფანტეს მათ ტრანსვაალის ყოველ კუთხეში თვისი რაზმები. ბოლოს დროს თუ მივიღებთ მხედველობაში წვრილმან გამარჯვებას ომის სასწორი შესამჩნევათ გადაიხარა ინგლისელების სასარგებლოთ, მაგრამ მაინც ბურების უმთავრესი ძალა ჯერ არ შერყეულა. მათი გამოჩენილი სარდლები დევეტი და ბოტა მართლაც გენიოსური ტაქტიკით მოქმედობენ და თავის მცირე ძალ-ღონეს გარემოების მიხედვით ხმარობენ ისე, რომ დღემდის თითქმის მათი მეცადინეობით უმკლავდებიან ბურები ინგლისელებს.

თვით ინგლისში ბურების მომხრეებმა 6 ივნისს დიდი კრება მოახდინეს. ამ კრებაზე გამოაცხადეს პროტესტი სამხრეთ აფრიკის ომის წინააღმდეგ. კრებას დაესწრო 6 ათასზე მეტი კაცი, მათ შორის იყვნენ მთავრობის მომხრე ლიბერალები და კონსერვატორებიც, რომელნიც ამ ბოლო დროს გადუდგნენ მთავრობას და ოპოზიციას მიემხრნენ. კრებამ გადასწყვიტა სთხოვონ მთავრობას, რომ დაუყოვნებლივ შეკრულ იქმნას ზავი ბურებთან და მიენიჭოთ მათ სრული ავტონომია. ხოლო ორმა მუშამ ის აზრი გამოთქვა, რომ ავტონომია არა კმარა და ბურების რესპუბლიკას სრული დამოუკიდებლობა უნდა მიენიჭოს. მათი წინადადება ერთხმათ იყო მიღებული კრებისაგან.

---

# უკუღმართი

(Озорникъ)

მაქსიმე გორკისა.

«N-ის გაზეთის» რედაქციის დიდსა და ნათელ ოთახში დარბოდა ნერვებ-აშლილი, აღელვებული და გარისხებული რედაქტორი: ხელში გაზეთის ახალი №-ი ჩაებღუჯა, ჰყვიროდა და ილანძღებოდა. ის იყო პატარა ტანის კაცი, მოგრძო-გამხდარ სახეს უმშვენებდა პატარა წვერი და ოქროს სათვალეები. პატარა ფეხებს მაგრათ აბრახუნებდა და სტოლის გარშემო ტრიალებდა. გრძელი სარედაქციო სტოლი ოთახის შუა ადგილას იდგა და სავსე იყო მიყრილ-მოყრილი გაზეთებით, კორექტურული ფურცლებით და ხელ-ნაწერებით. სტოლთან კი იდაყვ დაბჯენილი გამომცემელი იდგა და მეორე ხელით შუბლს იწმენდა: მაღალ-მაღალ ჩასუქებულ ქერა კაცს, ასე შუა ხნისას, თეთრს და მაძღარ სახეზე დამცინავი ღიმი უკრთოდა და თანაც რედაქტორს თავის მხიარულ და პრწყინვალე თვალებს ადევნებდა. მეტრანპაჟი — კაცი მოუხეშავი, ყვითელი სახისა და გულ-ჩავარდნილი, თავის გალეულ გრძელ ყავის-ფერ სერთუკში გამოხვეული მოწიწებით კედელს აკვროდა. იგი წარბებს მაღლა ჰჯგიმავდა, თვალები ჭერში მიეშტერებინა, თითქოს რაღაცას იგონებსო; წუთის სასოდავარგული ცხვირს შეიპრანჭავდა და მერე გულ-დაწყვეტილი თავს ძირს ჰქინდრავდა. კარებში კი რედაქციის შიკრიკი იდგა და განუწყვეტლივ მოძრაობაში იყო, რომ მიეცა გზა შემომსვლელთათვის, რომელნიც უკმაყოფილო-დაღვრემილი სახით საითღაც იმალებოდნენ. რედაქტორის ხმა — ბორიტი, მკვახე და დანჯღრეული ჰქუხდა, ხოლო გამომცემელი ამ დროს იღიმებოდა, მეტრანპაჟი კი შეშინებული ჰკრთებოდა.

— არა... ასეთი საძაგლობა! მე სისხლის სამართალში მივცემ მაგ საძაგელს... კორექტორი მოვიდა?.. ეშმაკმა წაგიღოთ, გეკითხებით: მოვიდა კორექტორი მეთქი?.. ეხლავ აქ შეჰკრიბეთ ყველა ასოთ-ამწყობნი! დაუძახეთ! არა, ერთი წარმოიდგინეთ: რა იქნება ეხლა! ყველა გაზეთები თითზე დაისვამენ... სირცხვილი, თავ-ლაფ-დასხმა მთელ რუსეთში... არა, მე ვერ ვაპატიებ იმ საძაგელს იმასა! და იქ რედაქტორმა აიღო ხელი, რომელშიაც გაზეთი ეჭირა, თავთან მიიტანა და ასე ერთ ადგილზე შეჩერდა: თითქოს უნდოდა თავი გაზეთით შემოეხვია და მით ეხსნა იგი მოსალოდნელ სირცხვილისაგან.

— ჯერ, თქვენ იპოვეთ იგი... დაცინვით და მშრალათ ურჩევდა გამომცემელი.

— ვვვიპოვი! დიახაც ვიპოვი! გაიელვა მრისხანებით რედაქტორის თვალებმა! და ისევ გაზეთი გულზე მიიკრა. ხელით მაგრათ ჩაბღუჯა, დაიწყო წინ-უკან სირბილი და გაიძახოდა: ვიპოვი და მოვცხებ კიდეც... ეს კორექტორი სადღაა

აჭა... აი! აბა, გთხოვთ, მოწყალენო ხელმწიფენო, მობრძანდით! ჰმ! აი «მშვიდნი კომანდირნი ტყვიის რაზმისა»! ჭაჭა, ჭა! მობრძანდით... აი, ასე!

რედაქციაში თითო-თითოთ შემოდიოდენ ასოთ-ამწყობები. იმათ უკვე იცოდნენ რაშიაც იყო საქმე. ყოველი მათგანი მზათ იყო პასუხის-საგებლათ და ამიტომაც მათ გამურულ სახეებზე ერთ-სულობა და სრული უმოძრაობა-სიმშვიდე იხატებოდა. ისინი ოთახის ერთ კუთხეში მჭიდროთ შეჯგუფდენ. რედაქტორმა ხელები ზურგს უკან გადაიწყო და მრისხანე გამომეტყველებით მათ წინ შეჩერდა. ეს იმათზე დაბალი აღმოჩნდა, ამიტომ თავი მაღლა აიღო, აიყელ-ყელავა, რომ იმათი სახე კარგათ გაერჩია და ეს ისე სწრაფათ მოუვიდა მას, რომ სათვალეები ცხვირიდან შუბლზე მოექცა: მას ეგონა, სათვალეები მირს ვარდებოდა, ამიტომ ხელი ჭაერში გაიქნია, რომ დაეჭირა, მაგრამ სათვალეები ამ დროს ისევ მის ცხვირის კეხზე დაეცა,

— ეჰ, ეშმაკმა წაგიღოთ თქვენ! გააკრაჭუნა მან კბილები!

ასოთ-ამწყობთა გამურულ სახეებზე კმაყოფილების ღიმმა გადაირბინა; ვიღამაც კიდეც გაიცინა.

— მე თქვენ აქ იმიტომ კი არ მოგიხმეთ, რომ თქვენი კბილები მაჩვენოთ მე! — წამოიძახა გაბრაზებულმა და თანაც გაფითრებულმა რედაქტორმა. მგონი, საკმაოთ შეარცხვინეთ გაზეთი... თუ თქვენს შორის პატიოსანი კაცი ურევია და მას ესმის: რა არის გაზეთი, რა არის პრესა... ის იტყვის, ვინ მოახდინა ეს! მეთაურ წერილში... და აქ რედაქტორმა გადაშალა ხელის ცახცახით გაზეთის ფურცლები.

— ჰო, საქმე რაშია? მოისმა ხმა, რომელშიაც უბრალო ცნობის მოყვარეობის მეტი არა ჩანდა რა...

— ააა! თქვენ არ იცით? აი, ინებეთ... აი... «ჩვენი საფაბრიკო კანონ-მდებლობა ჩვენს პრესაში მუდამ იწვევდა გულმოდგინე და ცხარე ბჭობასა და კამათს, ე. ი. ლაყბობასა და სისულელე-სიტუტუცეს!» აი! კმაყოფილი ხართ? არა ნებავს ეხლა იმას, ვინც ჩაუმატა ეს «ლაყბობასა»... და... უმთავრესათ «ლაყბობასა»! მერე რა ლამაზი და მახვილი სიტყვაა! აბა, ვინ არის თქვენში ავტორი ამ «სისულელე-სიტუტუცისა»!?

— სტატია ვისია? ხომ თქვენია? მაშ ავტორიც თქვენა ყოფილხართ, რაც მაგ სტატიაში მოჩმახული და მოროშილია! მოისმა ისევ ის მშვიდი და შეურყეველი ხმა, რომელიც პირველათ შეეკითხა რედაქტორს. ეს კი თავ-ხედობა იყო და ყველა მისვდა იმ წუთში, ვინც იყო ამის ჩამდენი. ოთახში სალხი შეტოკდა: გამომცემელმა უფრო ახლოს მიიწია ჯგუფისაკენ, რედაქტორი ფეხის ცერებზე შედგა, რომ უკეთ დაენახა მოლაპარაკე; ასოთ-ამწყობები მიიწ-მოიწივნენ და ამ ნაირათ რედაქტორის წინაშე წარმოდგა ერთი პატარა, მაგრა ჩასკვნილი ტანის ბიჭი, ნაყვავილარი სახით და ხუჭუჭა თმით! მას ეცვა ლურჯი ბლუზა; შარვლის ჯიბეებში ხელები ღრმათ ჩაეწყო და ასე იდგა გამოჯგიმული. ჭრელი თვალები რედაქტორს მიაპყრო და თითქოს გულ-გრილათ შესცქეროდა მას, თანაც ოდნავ შესამჩნევი ღიმი სუხუჭ და ქერა წვერს უთამაშებდა. ყველა მას შეჩერებოდა. გამომცემელს სასტიკათ და მრისხანეთ ჩამოეშვა წარბები, რედაქტორი კი გაოცებული და თანაც გაჯავრებული შესჭყუროდა, ხოლო მეტრანპაჟი თავ-შეკავებით იღიმებოდა, ასოთ-ამწყობთა სახე კი ამჟღავნებდა ცუდათ შეკავებულს სიამოვნებასაც, შიშსაც და ცნობის მოყვარეობასაც...

— მაშ... ეგ... თქვენა ხართ? იკითხა ბოლოს, როგორც იქნა, რედაქტორმა, მოკუმა როგორღაც ტუჩები და გაიშვირა თითი ნაყვავილარ მუშისაკენ...

— მე ვარ... მიუგო მუშამ და თან უბრალოთ, მაგრა საწყენათ კი ჩაიცინა.

— ააა! ძალიან კარგი! მაშ, ეგ თქვენა ხართ? ნება მიბოძეთ გკითხოთ: რათ ჩაურთეთ ეგ სიტყვები...

— და განა ვთქვი: მე ჩავურთე მეთქი? და ამ სიტყვებით ასოთ-ამწყობმა გადახედა თავის ამხანაგებს.

— სწორეთ ეგ უნდა იყვეს, დიმიტრი პავლეს ძევ! უთხრა მეტრანპაჟმა რედაქტორს.

— ჰო, კარგი! მე ვარ მე! ცოტა გულ-მორბილებით დაეთანხმა ასოთ-ამწყობი, ჩაიქნია ხელი და ისევ გაიღიმა. ყველამ სული გაკმიდა: არავინ მოელოდა ასეთს ჩქარსა და მშვიდ აღსარებას; ამიტომ ისე იმოქმედა ყველაზე, როგორც მოულოდნელმა ამბავმა. ჯერ რედაქტორის მრისხანებაც კი წუთით შეიცვალა განცვიფრებით. ჩოფურა ასოთ-ამწყობის ირგვლივ ალაგი დაცარიელდა, მეტრანპაჟი სტოლს მიუახლოვდა, ასოთ-ამწყობები იქეთ-აქეთ მილაგდენ.

— შენ ეს ალბათ განზრახ ჩაიდინე?! — ჰკითხა გამომცემელმა ღიმილით და თანაც გადახედა ჩოფურა მუშას თავის მრგვალი თვალით.

— აბა, გვიპასუხეთ! დასჭყივლა რედაქტორმა და ჩაბღუჯული გაზეთი ჰაერში აიქნია.

— ნუ ჰყვირით... არ მეშინია... ბევრს უყვირნია ჩემთან, მაგრა უსაბუთოთ! მუშის თვალებში გაიელვა შეურაცხყოფამ და ვაჟ-კაცურმა ნაპერწკალმა... თითქოს... განაგრძო მან ფეხის ფეხზე გადადებით და მიმართა გამომცემელს: მე ეს სიტყვები განგებ ჩავუმატე...

— გესმით? მიუბრუნდა რედაქტორი იქ მყოფთ.

— მართლაც და რა ყოფილხარ შე ეშმაკის ფეხო?! დაიღრიალა უცბათ გამომცემელმა, გესმის რამდენი ზარალი მომეცი მაგ შენი უგვანი საქციელით?

— თქვენ კიდევ არაფერი... რა უშავს! ცალკე №-ები უფრო გაგისაღდება, მაგრა აი, ბატონ რედაქტორს კი, მართლაც, არ მოუხდება ასეთი სუმრობა.

რედაქტორი თითქმის გაჰქვავდა სიბრაზისაგან. ის იდგა ამ მშვიდ, მაგრა ბოროტ კაცის წინ და ხმა გაკმენდილი თვალებს აბრიალებდა: თითქოს სიტყვები ვერ მოენახა თავისი მშფოთარე გრძნობების გამოსახატავათ.

— ამაზე, ძმობილო, ხომ იცი ცუდი დღე დაგადგება! ნიშნის მოგებით წაილაპარაკა გამომცემელმა და ხელი მუხლზე დაიკრა. იგი უცბათ მორბილდა; ნამდვილად იგი კმაყოფილიც იყო ამ ამბით და მუშის თავ-ხედური პასუხით: რედაქტორი მას როგორღაც მაღლიდან უცქეროდა და არც ცდილობდა იგი დაეფარა მისგან თავისი გონებრივი უპირატესობა და აი, ეხლა ეს თავ-მოყვარე კაცი მის წინაშე მტვრათ იქცა და მერე ვისგან?

— ასეთ თავხედობისთვის ჩვენ, ჩემო კეთილო, ვეცდებით გადაგისდოთ, დაუმატა მან.

— აბა, რასაკვირველია, რას გაუშვებთ! უეჭველია, ეცდებით... დაეთანხმა მუშა.

ამ სიტყვებზე და ლაპარაკის ასეთ კილოს გამო ასოთ-ამწყობებმა ერთმანეთს გადახედეს, მეტრანპაჟმა წარბები აიწია და როგორღაც მოიკუზა; რედაქტორი კი სტოლისკენ მიიწია: დაეყრდნო მას ხელებით და კიდევ უფრო დაფანტულმა და შერცხვენილმა დაუწყო გამტერებით ცქერა თავის მტერს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სახელი რა გქვია შენ? ჰკითხა გამომცემელმა და ამოიღო ჯიბიდან სამახსოვრო რვეული.

— ნიკოლკა გვოზდევი, ვასილ ივანეს ძევ! უცბათ გამოუცხადა მეტრანპაჟმა.

— შენ კი კა, ლაქიავ იუდა გამცემლისავ, გაჩუმდი, ხმა გაკმიდე, როცა არ გეკითხებიან, უთხრა ნიკოლკამ მეტრანპაჟს, და მრისხანებით გადახედა მას. მე ჩემი ენა მაქვს; მე თვითონ შემიძლია პასუხის მიცემა... მე მქვია ნიკოლოოზ სიმონის ძე გვოზდევი, საცხოვრებელი ადგილი...

— მაგას ჩვენ თვითონ მოვნახავთ! შეჰპირდა გამომცემელი! ეხლა კი დაიკარგე აქედან! ყველანი წადით! ზრასა-ზრუხით და ფეხების ათრევით გავიდნენ გარეთ ასოთ-ამწყობები; გვოზდევი კი ყველაზე ბოლოს დაიძრა.

— მოიცა... მომითმინე... სთქვა რედაქტორმა ჩუმათ, მარა ცხადათ და გაიშვირა ხელი გვოზდევისაკენ.

გვოზდევი მობრუნდა მისკენ და ზარმაცათ კარებს აეყუდა: წვერის გრეხა დაიწყო და თავისი თავხედური თვალებით რედაქტორის სახეში შეაცქერდა.

— მე შენ აი რასა გკითხავ, დაიწყო რედაქტორმა. ის ცდილობდა დაწყნარებულიყო, მარა ვერ ახერხებდა კი: ხმა უწყდებოდა და ყვირილი გამოდიოდა. შენ ალიარე... გამოტყდი, რომ შენ სახეში მე გუავდი, როცა ამ ალიაქოთს აყენებდი!? ხომ? მაშასადამე, ეს რას ნიშნავს?! ჯავრი იყარე ჩემზე? მე გეკითხები შენ: რისთვის? შენ გესმის ესა? შეგიძლია შენ მიპასუხო?

გვოზდევმა მხრები აიჩეჩა, ტუჩები მოკუმა, თავი ჩაღუნა და ასე ერთი წამით შეჩერდა. გამომცემელი მოუთმენლათ ფეხს აბრახუნებდა; მეტრანპაჟმა კისერი წაიგრძელა. რედაქტორი კი ტუჩებს იკვნეტდა და ნერვებ-აშლილი თითებს ამტვრევდა. ყველა რაღასაც მოელოდა.

— მე, თუ გინდათ ვიტყვი... მარა, როგორც გაუნათლებელი კაცი, მგონია, გაუგებარი იქნება თქვენთვის! მაშინ კი ნერვას უკარგავთ! მაშ, აი საქმე რაშია. თქვენ სხვა-და-სხვა სტატიებსა წერთ. გულ-კეთილობას, კაცთ-მოყვარეობას და სხვა ამისთანა ტკბილ-ტკბილებს ყველას ურჩევთ... არ ვიცი სწორეთ როგორ გითხრათ თქვენ ყველა ეს დაწვრილებით — კითხვა კარგათ არც კი ვიცი და!.. თქვენ მაინც თითონ იცით... მისვდებით... მუდამ მაგაზედა სწერთ... აი, მეც ვკითხულობ მაგ თქვენ სტატიებსა: ჩვენ კაცზე, მუშებზე ბევრსა ლაპარაკობთ... არც ერთს არ ვტოვებ, ყველას ვკითხულობ, მარა რა! გული მიკვდება, ჯავრი მომდის, ვბრაზდები, როცა ვკითხულობ: სულ ტყუილებია, სისულელეა! მარტო უსირცხვილო სიტყვებია, ბატონო დიმიტრი, უსირცხვილო სიტყვები და მეტი არაფერი! თქვენა წერთ — ხალხის ყვლეფა სირცხვილია და მხეცობაო; თქვენ კი თვითონ სტამბაში რა ამბავი გაქვთ? წასულ კვირაში საწყალმა კირიაკოვმა სამ დღე ნასვარი გაატარა: რაღაც რვა უზალთუნი უნდა მიეღო და ამ დროს გაასცხელა. რა უნდა ექნა?! ცოლი მოვიდა კანტორაში ფულის მისაღებათ, მარა დასე უბედურებას! მმართველი ეუბნება: პირაქეთ შენგან უნდა მივიღოთ ექვსი აბაზი ჯარიმათაო. ესეც თქვენი დარიგება: ნუ ჰყვლეფთ ხალხსო! აბა თქვენ ამ ამბავზე რატომ არაფერს წერთ? და კიდევ იმაზე, მმართველი რომ ბევრსა ჰყვირის და ბავშვებს სულ ტყავს აძრობს ცემით? თქვენ ხომ ამაებზე ვერაფერს დაწერთ, რადგანაც მაგ პოლიტიკის ბრძანებით?! სწერთ ხოლმე, რომ ადამიანი ქვეყანაზე ცუდათ ცხოვრობს, უჭირს ცხოვრებაო! ამას კი იმიტომა სწერთ, მე თქვენ მოგახსენოთ, რომ სხვა არაფერი საქმის გაკეთება არ შეგიძლიათ! აი, მართალი თუ გნებავთ, ეს არის! ამიტომაც, ჩემო ბატონო, ცხვირწინ რაც მხეცობა ხდება იმას ველარ ხედავთ და სათათრეთის ამბებს კი სიამოვნებით ჩამოთვლით ხოლმე; აბა მითხარით: განა ეს სისულელე არ არის? ვამბობ: თქვენი წერილები ცხადი სისულელე არ არის მეთქი?! დიდი ხანია მინდოდა, თქვენ შესარცხვენათ თქვენს სტატიაში მართალი რამ სიტყვები ჩამერთო! კიდევ კარგათ ვერ მომივიდა და! მეტიც გაგიუთვნოდათ! — გვოზდევი თავის თავს გმირათ გრძნობდა. მან ამაყათ გამოიშვირა გული, თავი მაღლა აიღო და პირდაპირ თვალებში მიაჩერდა რედაქტორს. ის ესლა თავის გამარჯვებას და სიხარულს აღარ მალავდა... რედაქტორი კი მაგრათ ჩაფრენოდა ორივე ხელებით სტოლს, უკან გადაზნექილიყო და ხან ყვითლდებოდა, ხან წითლდებოდა, ხან ზიზღით, ხან დარცხვენით და ხან კიდევ ბოროტათ იღიმებოდა; თვალებ დაჭყეტილი წამწამებს ხშირ-ხშირათ ახამხამებდა.

— სოციალისტი ხომ არ არის? რაღაც ინტერესით და შიშით გადაუჩურჩულა რედაქტორს გამომცემელმა. რედაქტორს ამაზე სახე დაეღრიჯა, მარა არა უპასუხა-რა, მხოლოთ თავი ჩაქინდრა.

მეტრანპაჟი ფანჯრისაკენ წავიდა და იქ ბოჭკას, რომელშიაც ოთახის ვებერთელა მცენარე იდგა და თავისი ჩრდილით იატაკს ფარგავდა, ამოეფარა და იქიდან თავისი პატარა შავი ცოცხალი თაგვისებური მოძრავი თვალებით ყველას შეცქეროდა; მის თვალებში გამოიხატებოდა რაღაც მოუთმენელი მოლოდინი და სანდასან კიდევ რაღაც სიხარულის ნაპერწკალი გამოკრთოდა. გამომცემელი რედაქტორს შეცქეროდა. რედაქტორმა ეს იგრძნო, აიღო თავი მაღლა და თვალების გაბრიალებით და ნერვების ცახცახით მიაყვირა მიმავალ გვოზდევს.

— მოითმინეთ!.. შეჩერდით! თქვენ შეურაცხყოფა მომაყენეთ მე. თქვენ ამის უფლება არა გქონდათ... იმედი მაქვს — თქვენ ამასა გრძნობთ. მე კი მადლობელი ვარ თქ-თქვენი... პირში თქმისათვის, პირდაპირობისათვის, მაგრამ ვიმეორებ... მას უნდოდა ირონიით ელაპარაკნა, მარა ვერ ახერხებდა: ირონიის ნაცვლათ მისი სიტყვებიდან რაღაც უხამსი სიყალბე გამოსჭვივოდა; ამიტომ იგი უცბათ შეჩერდა. მოინდომა მომზადება, თავის დაჭერა და საკადრისათ შებრძოლება ამ არამკითხე მსაჯულთან.

— რასაკვირველია! აიქნია თავი გვოზდევმა და განაგრძო: მართალი მარტო ისაა, ვინც ბევრსა ლაპარაკობს; და ამ სიტყვებით კარებში შეჩერდა; ისეთი გამომეტყველებით მიავლ-მოავლო თვალი იქაურობას, რომ ცხადათ ჩანდა მისი მოუთმენელი სურვილი: რაც შეიძლება მალე გასულიყო იქიდან.

— არა, მოითმინეთ! აუწია კიდევ ტონი რედაქტორმა, ხელი მაღლა აიშვირა და განაგრძო: თქვენ ჩემ წინააღმდეგ ბრალდება წამოაყენეთ. მაგრამ... ამაზე წინათ თვით-ნებით თქვენვე დამსაჯეთ ვითომ და ჩემი თქვენ სწინაშე დანაშაულობისათვის... მე სრული უფლება მაქვს თავი დავიცვა; გთხოვთ ყური მიგდოთ...

— თქვენ ჩემთან რა საქმე გაქვთ? თქვენთვის უფრო საჭიროა გამომცემელთან დაიცვათ თავი; ჩემთან კი რაზე უნდა ილაპარაკოთ? მე თქვენ თუ გაგლანძღეთ, მოსამართლესთან მიჩივლეთ, იქ მობრძანდით, თვარა აქ თავის დაცვა ვის გაუგონია! მშვიდობით! ის უცბათ მეტრიალდა, დოინჯი შემოიდგა და ისე გასწია. ფეხებზე უშველებელი დიდ ქუსლებიანი წაღები ეცვა: მალზე აბრახუნებდა და იმისი ფეხის ხმა რაღაც ყრუთ გაისმოდა რედაქციის გრძელ ოთახში.

— ესეც შენი ისტორია და გეოგრაფია! წამოიძახა გამომცემელმა, როცა გვოზდევი უკვე გავიდა და კარებიც მოიბრახუნა.

— ვასილ ივანეს ძევ! მე აქ, ამ საქმეში არაფერ შუაში ვარ... დაიწყო მეტრანპაჟმა; ხელები მტყუანივით გაშალა და მოკლე, ნელის ნაბიჯით გამომცემელს მიუახლოვდა. მე აწყობილს ვალაგებ, განაგრძო მან, და რა ვიცი: ვინ რას მომაჩეჩებს ხელში. მთელი ღამე ფეხზე ვდგევარ; მუდამ აქ ვტრიალებ, — შინ კი ცოლი ავათ მყავს, ბავშვები მოუვლელათ და უყურადღებოთ მიყრია... სამი ემაწვილი... მართალი მოგახსენოთ, სწორეთ სისხლისაგან ვიცლები რაღაც სამი თუმნისათვის... ბატონ თედორე პავლეს ძეს მაშინვე მოვახსენე, როცა გვოზდევს ქირაობდენ. მე ვუთხარი: თედორე პავლეს ძევ! ნიკოლას მე დაბადებიდან ვიცნობ და მართალი მოგახსენოთ, ვიცი, რაც ბიჭია-მეთქი. ნიკოლკა, ბატონო, «უკუღმართი» და ქურდი ბიჭია-მეთქი. ეგ სინდისზე ხელ-აღებულია და ვინ იცის რამდენჯერ უჩივლეს მაგას მომრიგებელ-მოსამართლესთან, ციხეშიაც მჯდარა-მეთქი.

— რათ დაიჭირეს?! მოსაუბრეს არც კი შესვდა, ისე ჩაფიქრებულათ იკითხა რედაქტორმა.

— მტრედებისთვის... ისე... მტრედებისათვის კი არა, კლიტეების დატეხისათვის: შვიდი სამტრედეს კლიტეები დატეხა ერთ ღამეს... და ნანადირევი სულ გაუშვა, ფრთოსანი გააფრინა! მეც კი ერთი წყვილი ქოჩორა და ერთიც მოთამაშე მტრედი დამეკარგენ. ძვირფასი ფრინველი იყო!

— მოიპარა? ცნობის-მოყვარეობით იკითხა გამომცემელმა.

— არა, მაგისთანებით თავს არ იქცევს, თუმცა ქურდობისათვისაც გაასამართლეს ერთხელ და გაამართლეს კიდეც! არა, ისე როგორღაც უკუღმართი, ეშმაკი ბიჭია! გაუშვა, გაანთავისუფლა ფრინველი და უხარია: დაგვცინის მონადირეებს... ერთი-ორჯერ კიდეც ცემეს ნიკოლას; ერთხელ ცემისაგან საავათმყოფოში დაწვა. გამოვიდა იქიდან თუ არა და მაშინვე ნათლია ჩემს ალ-ქაჯები გაუჩინა.

— ქაჯები?! გაიკვირვა გამომცემელმა.

— რა სისულელეა! შეიშმუშნა მხრები რედაქტორმა, წარბები მოხუშა და ტუჩების კვნეტით ისევ ჩაფიქრდა.

— ეგ ნამდვილია, ბატონო! მე ვერა ვთქვი ისე... დარცხვენით განაგრძო მეტრანპაჟმა. ის ჩვენი ნიკოლა, ბატონო, მეფეჩეცაა; რა გნებავთ, რომ ვერ გააკეთოს: ლიტოგრაფიაც იცის, ჩუქურთმის მჭრელიცაა, მილების გამყვანიც და სხვა რა გინდა რა. აი ასე და ამ ნაირათ ნათლია ჩემმა (ნათლია ჩემს საკუთარი სახლი აქვს, სასულიერო წოდებისაა) დაიქირავა ეს ბიჭი, ჩვენი ნიკოლა; ფეჩი ჰქონდა გადასადგმელი. ნიკოლამაც გადადგა ფეჩი. ყველაფერი ისე მოაწყო, როგორც რიგია; მარა, უკუღმართი რო გამოვა კაცი, ფეჩის კედელში იმ ეშმაკმა თურმე ვერცხლის წყლიანი ბოთლი დაუტანა ჩუმათ. ნემსებიც შიგ ჩაუყარა; კიდევ რაღაებიც უნდა... ეშმაკმა არ იცის იმისი თავი და ტანი! ამ ნაირათ ფეჩიდან ხმა გამოდის; რაღაც სხვა ნაირი; თითქოს კვნესის, ოხრავს ვინმეო და მაშინ, რასაკვირველია, ამბობენ: ეშმაკებმა დაიბუდეს სახლშიო. გაათბობენ ფეჩს თუ არა, — ვერცხლის წყალიც გათბება, მოჰყვება წრიპინს ეშმაკივით. ნემსი ბოთლს გვერდებზე უსაჭუნებს — თითქოს კბილებს აკრაჭუნებენო. ნემსის გარდა ესლა ბოთლში სხვა-და-სხვა ლითონის ნატეხებიცა ჰყრია და მათგან კიდევ სხვა-და-სხვა ნაირი ხმები გამოდის: ნემსი მასებურათ წრიპინებს, ლურსმანი კიდევ მისებურათ და ასე ამ ნაირათ გვეყურება ეშმაკური და ქაჯური მუსიკა. ჯერ ნათლია ჩემს გაყიდვაც უნდოდა სახლის, მარა ვინ ეშმაკი იყიდდა ეშმაკებით სავსე სახლს? მერე სამჯერ აკურთხებინა ხუცესს, მარა არა ეშველა რა! ჰყვირის ნათლია ჩემი, თავში ხელს იცემს: გასათხოვარი ქალი სახლში უზის, ქათამი, ბატი, ინდაური ოჯახში ბევრი ჰყავს, ორი ძროხაც ჰყავს: კარგი ოჯახობა აქვს, მარა რათ უნდა: ამ ოხერ ეშმაკებს რა უქნას? იქით ეცა, აქეთ ეცა: სწორეთ საცოდაობა იყო მისი ყოფა! მართალი რო ვთქვა: თვითონ ნიკოლამ კი უშველა, აი! მოიტა, მამე ხუთი თუმანიო, ეუბნებოდა ნიკოლა ნათლიაჩემს და ესლავ გაგირეკავ ე მაგ ეშმაკებსო! იმან ჯერ მეოთხედი მისცა და მერე, როცა ნიკოლამ ფეჩიდან ვერცხლის წყლიანი ბოთლი გამოიღო და ნათლიაჩემმაც მიხვდა საქმე რაშიაც იყო, — მშვიდობით! კარგი მოხერხებული კაცია ნათლია ჩემი! უნდოდა ეჩივლა ნიკოლასათვის, მარა ურჩიეს: თავი დაანებეო, და იმანაც თავი დაანება! ამისთანები ბევრი, ძალიან ბევრი ჩაუდენია ჩვენს ნიკოლას.

— და მეც ერთი ასეთი «ეშმაკობისათვის» უნდა დავიტანჯო?! წამოიყვირა რედაქტორმა, მოსწყდა ადგილს და გაექან-გამოექანა ოთახში, ოჰ! ღმერთო ჩემო! რა სისულელე, გაუთლელობა და სისაძაგლეა ყველა ეს!..

— ერთი თქვენც ძალიან გაიწიეთ! სთქვა დასამშვიდებლათ გამომცემელმა. — დასწერეთ «შეცდომის გასწორება», აუხსენით მკითხველებს, თუ როგორ მოგივიდათ და მორჩა და გათავდა! ის ბიჭი კი ძალიან საინტერესო ბიჭი კია! ღმერთმა დასწყევლოს იგი! რა უქნია: ფეჩში ეშმაკები დაუმწყვდევია! ჰა, ჰა, ჰა! არა, ღმერთმანი! არა, ჭკუას კი ვასწავლით იმას ჩვენ, მარა ის საძაგელი ჭკვიანია და! როგორღაც, იცით, აქ კაცს რაღაებსაც უღვიძებს. გამომცემელმა აქ თითი შუბლს გაიკრა და უცბათ თვალი ჭერს შეავლო.

— თქვენ ეს ძალიან გართობთ განა?! მკვახეთ წამოიყვირა რედაქტორმა.

— მერე რა? განა სასაცილო არ არის? იმ კაცმა თქვენ გვარიანათ გაგწკეპლათ! ჭკვიანია ის ეშმაკი ისა! გადაუხადა სამაგიერო გამომცემელმა რედაქტორს შეურაცხყოფისათვის. აბა, კანონის რომელი მუხლის ძალით გინდათ უჩივლოთ? რედაქტორმა უცბათ მიირბინა გამომცემელთან ამ სიტყვების გაგონებაზე და თითქოს მიეკრა მას!

— იმას მე ვერ ვუჩივლებ, ვასილ ივანეს ძევ, ვინაიდგან ეს ეშმაკების მომგონი მართალია! თქვენს სტამბაში ღმერთმა უწყის რაები ხდება! ხომ კარგათ გესმოდათ? ჩვენ კი... მე კი თქვენის წყალობით «დურაკის» როლს ვთამაშობ! ის ათასჯერ, ათი-ათასჯერ მართალია!

— იმ დამატებაშიაც, რომელიც მან თქვენს სტატიაში შეიტანა? მწვავეთ დაეკითხა გამომცემელი და ირონიულათ ტუჩები მოკუმა

— მერე რა? მაგაშიაც, სწორეთ მაგაშიაც! თქვენ წარმოიდგინეთ, ვასილ ივანეს ძევ! ჩვენ ხომ ლიბერალურ გაზეთს...

— რომელიც იბეჭდება ორიათას ცალათ, უფასო და გასაცვლელი №-ები რო არ ვიანგარიშოთ, ჩაუმატა მშრალათ გამომცემელმა და განაგრძო: ჩვენი კონკურენტი კი ცხრაათასი გადის...

— მერე?

— მეტი არაფერი!

რედაქტორმა პასუხის ნაცვლათ ხელი ჩაიქნია და ისევ მოჰყვა ოთახში წინ-უკან სიარულს; თვალები როგორღაც მიებჟუტა.

— სასიამოვნო მდგომარეობაა, თქვენ არ მომიკვდეთ, ბუტბუტებდა ის მხრების აწევით. რაღაც უნივერსალური დევნა-დაწიოკებაა! ყველა მაღლები ერთს მისევიან და ეს კი კრიჭა-შეკრულია; ჰაა, ჰაა, ჰაა! და კიდევ ეს საწყალი მუშა! ოოჰ, ღმერთო ჩემო!

— ეჰ, მიაფურთხეთ ერთი, თუ ღმერთი გწამთ, ნუ აღშფოთდებით! ურჩია უცბათ ვასილ ივანეს ძემ და გულ-კეთილათ გაიღიმა, თითქოს დაიღალა მღელვარებითა და ამ მითქმა-მოთქმით. როგორც მოვიდა, ისე წავა ჩაივლის და თქვენს პატივსა და სახელს ისევ აღადგენთ. ეგ საქმე უფრო სასაცილო საქმეა, ვიდრე დრამატიული. მან შერიგების ნიშნათ მშვიდობიანათ ჩამოართვა თავისი ფუნთუშა ხელი რედაქტორს და ის იყო გასვლას აპირებდა რედაქციიდან კანტორაში, და ამ დროს უცბათ გაიღო კანტორის კარები და მოჩვენებასავით გოზდევი კი გამოჩნდა! მას თავზე «კარტუზი» ჩამოეფხატა და მოწყალების თვალით იღიმებოდა.

— თქვენთან მოვედი, ბატონო რედაქტორო! მინდა გავიგო: მართლა ჩავილი გნებავთ თუ არა? ესლავე მითხარით. აქედან წასვლასა ვფიქრობ და მოგეხსენებათ «ეტაპით» ისევ აქეთ ჩამოთრევა სასიამოვნო არ არის.

— დაიკარგე აქედან! დაიღრიალა რედაქტორმა: თითქოს მეტის სიბრაზისაგან აქვითინდაო და ოთახის შორეულ კუთხისაკენ გაექანა.

— მაშ ექვით ვართ რაღა! ქვით! უთხრა გოზდევმა, «კარტუზი» გაისწორა, უცბათ მოტრიალდა და გაჰქრა.

— ოოჰ, ეგ ეშმაკი! აღტაცებით ამოიოხრა ვასილმა, როცა გოზდევი გაბრუნდა და დამტკბარი ნეტარების ღიმილით ნელა შეუდგა პალტოს ჩაცმას.

---

## ისტორიული მეცნიერებიდან.

(დასასრული. — იხ. № 16).

წარმოების ურთიერთობათა ხასიათს ამა თუ იმ ეპოქაში არკვევს არა «შემთხვევა», არა «ხალხთა ბუნება», არამედ ის ბუნებრივი პირობები, რომლებშიაც უხდება ადამიანს ბრძოლა თვით-არსებობისათვის. აი ამ პირობებზე—და ყველაზე წინ გეოგრაფიულ მიდამოს თვისებებზე—არის დამოკიდებული მდგომარეობა იმ საწარმოო ძალთა, რომელნიც ხალხის უფლებაში იმყოფებიან. საწარმოო ძალთა ამა თუ იმ მდგომარეობას სრულიად ესაბამება წარმოების ესა თუ ის ურთიერთობანი, ხოლო წარმოების ამა თუ იმ ურთიერთობებს ესაბამება სოციალური წყობილება, რომლის თვისებაც თავისი გავლენით ხალხთა პსიხიკაზე (სულიერი მდგომარეობა) არკვევს ამ ხალხის გონებრივს, ზნეობრივს და საზოგადოთ ეგრეთ წოდებულ სულიერ განვითარებას. მაგრამ თვით წარმოების პროცესი და ამ პროცესში ადამიანთა ძალ-ღონის შეთანხმება აძლიერებს რა გამოცდილებას, უფრო და უფროავითარებს საწარმოო ძალებს, რის გამოც თავს იჩენს და თანდათან ძლიერდება შეუსაბამობა ერთი მხრით ამ ძალთა და მეორე მხრით მაწარმოებელ ურთიერთობათა შორის. წინათ ეს ურთიერთობანი ხელს უწყობდენ საწარმოო ძალთა კიდევ მეტ ზრდას, ახლა კი ისინი წინ ეღობებიან მას. ასეთს შემთხვევაში იწყება საზოგადოებრივი განვითარების გარდამავალი ხანა, რომელიც ადრე თუ გვიან ბოლოვდება დაძველებულ მაწარმოებელ—და მაშასადამე ქონებრივ—ურთიერთობათა და მით მთელი «მოქალაქობრივი ყოფა-ცხოვრების» დანგრევით. ამ მობერებულ წარმოების ურთიერთობათა წინააღმდეგ ბრძოლამ აიძულა ხალხი კრიტიკულათ მოპყრობოდა არა მარტო ძველ საზოგადოებრივ წესებს, არამედ იმ იდეებსაც, იმ გრძნობებს და საზოგადოთ იმ „სასიხვას“, რომელიც დამწიფდა ძველ წეს-წყობილების ნიადაგზე. ამის გამო საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოძრაობას ეგუება სულიერ ცხოვრების მოძრაობა. რა ძნელი გასაგებია ის, — ამბობენ მარქსი და ენგელსი, — რომ რამდენათაც იცვლებიან ხალხის ცხოვრების სახე, მათი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა—იმდენათ იცვლებიან აგრეთვე მათი წარმოდგენანი, შეხედულებანი, აზრები, ერთი სიტყვით მთელი მათი სულიერი თვისებანი. რას ამტკიცებს იდეათა ისტორია, თუ არა იმას, რომ მატერიალურ მოქმედებასთან ერთათ იცვლება გონებრივი მოქმედება?»

ასეთია მარქსისა და ენგელსის ისტორიული თეორია. ამ თეორიით ხელმძღვანელობდენ ისინი თავიანთი ეპოქის დაფასებაში. თუ ისინი ამ ეპოქას გარდამავალათ თვლიან, ეს მხოლოთ იმიტომ, რომ ისინი ხედვენ შეუსაბამობას კაპიტალიზმის მიერ შექმნილ მაწარმოებელ ძალთა და კაპიტალისტურ ურთიერთობათა შორის. «თანამედროვე ბურჟუაზული საზოგადოება თავისი წარმოებითა და გაცვლა-გამოცვლით, — ამბობენ იგინი, — რომელმაც თითქო თილისმით შექმნა წარმოებისა და მისვლა-მოსვლის ასეთი ძლიერი საშუალებანი, ჩავარდა იმ თვალთ-მაქცის მდგომარეობაში, რომელსაც აღარ ძალუძს დათრგუნოს მის მიერვე გამოწვეული მავნე სულები. აი ეს რამდენიმე ათი წელია, რაც მრეწველობისა და ვაჭრობის ისტორია წარმოადგენს თანამედროვე მაწარმოებელ ძალთა ამბოხების ისტორიას, წინააღმდეგ წარმოების თანამედროვე ორგანიზაციისა, წინააღმდეგ ქონებრივ ურთიერთობათა, იმ ურთიერთობათა, რომელნიც შეადგენენ ბურჟუაზიის ცხოვრების პირობებს. ამის ასახსნელათ საკმაოა დავასახელოთ ის სავაჭრო კრიზისები, რომელნიც დრო-გამოშვებით იჩენენ თავს და სულ უფრო და უფრო ემუქრებიან მთელი ბურჟუაზულ საზოგადოების არსებობას“.

ყველა ეს იმას ამტკიცებს, თუ რა სიყალბით ახასიათებენ მარქსისა და ენგელსის ისტორიულ თეორიას საერთოთ მიღებულ ტერმინით: ეკონომიური მატერიალიზმი. თუ ამ ტერმინით უნდათ აღნუსხონ ის თეორია, რომელიც ქონებრივ ინტერესს ისტორიულ პროგრესის უმთავრეს ჩარხათ აღიარებს, მაშინ რესტავრაციის დროის საფრანგეთის ისტორიკოსებს სრული უფლებით შეგვიძლია ვუწოდოთ ეკონომიური მატერიალისტები. მაგრამ ეს «ეკონომიური მატერიალისტები» ნამდვილათ ძალიან შორს იყვნენ მატერიალიზმისაგან და რჩებოდენ იდეალისტებათ, რამდენათაც ეკლექტიკებათ არ იქცეოდენ. ქონებრივ ურთიერთობათა და ინტერესთა წარმოშობას ისინი სრულებით არ ხსნიდენ მატერიალისტურათ. ხოლო თუ მარქსის თეორია მატერიალიზმით არის გაჟღენთილი, არა იმიტომ, რომ მას ვითომ ქონებრივ ინტერესებისათვის მეტის-მეტი უპირატესობა მიენიჭებოდეს, არამედ იმიტომ, რომ დაამყაროს ინტერესთა განვითარება იმ საწარმოო ურთიერთობათა განვითარებაზე, რომელიც გამოწვეულია მაწარმოებელ ძალთა ზრდისაგან, პირველათ ამ თეორიამ ახსნა მატერიალისტურათ საზოგადოებრივი ცხოვრების და საზოგადოებრივი აზრის ევოლიუცია და მით სრულიად გამორიცხა ევოლიუციის იდეალისტური ახსნა ადამიანის „სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის“ თვისებებით, ანა და საზოგადოთ ადამიანის „ბუნების“ საშუალებით. ამიტომ არც გასაკვირია, რომ ის ნახევრათ-მარქსისტები, რომლებიც მატერიალიზმის წინააღმდეგ ალჭურვილან, დაჟინებით უწოდებენ მას „ეკონომიურ მატერიალიზმს“. მათ კარგათ იციან, რომ ამ სახელწოდებით ადვილათ შეუძლიათ გაასაღონ იდეალისტური შეხედულებანი[1]). გ. ე. ბერშტეინის აზრით, მარქსისა და ენგელსის თეორიაზე ზედ გამოჭრილია სახელწოდება: ისტორიის ეკონომიური ახსნა. ყველა თქმულის შემდეგ მეტია მასზე ლაპარაკი, რომ ბ. „კრიტიკოსის“ ეს აზრი დამყარებულია მის „საკრიტიკო“ თეორიის ჭეშმარიტი ხასიათის სრულს გაუგებრობაზე[2]).

რაკი ამ მწერალზე ჩამოვარდა ლაპარაკი, მეტი არ იქნება მკითხველს გავახსენოთ, რომ მისი აზრით მარქსის და ენგელსის თეორიამ თვით განვლო პროცესი განვითარებისა და ბოლოს როლი ეკონომიური ფაქტორისა ისტორიაში შეიზღუდა, სამაგიეროთ როლი არა-ეკონომიური ფაქტორებისა გაძლიერდაო. ამ აზრის დასამტკიცებლათ ბ. ბერნშტეინს მოჰყავს შემდეგი: 1859 წ. მარქსი თავის „Zur Kritik“-ის შესავალში სცნობს „განმსაზღვრელ ფაქტორათ არსებულ მატერიალურ ძალებს და ადამიანთა მაწარმოებელ დამოკიდებულებას“, ხოლო შემდეგ ენგელსმა დიურინგთან პოლემიკაში სხვანაირათ ახსნა ისტორიული მატერიალიზმი და ეს „მარქსის სიცოცხლეშივე, მარქსისვე თანხმობით“. აი ეს ახსნაც: „მაშასადამე, უპირველესი მიზეზი ყველა საზოგადოებრივ ცვლილებათა უნდა მოინახოს არა ადამიანის თავში, არამედ წარმოების და გაცვლა-გამოცვლის წესების ცვლილებაში“. მაგრამ გარდა ამ უკანასკნელ მიზეზთა არიან კიდევ მათთან ერთათ მომქმედი სხვა მიზეზებიც—მიზეზი მეორე, მესამე და სხვ. ცხადია, რაც მეტია მეორე მიზეზები, მით ნაკლებია ძალა პირველი მიზეზების. ამათი გავლენა რჩება, მაგრამ საქმის საბოლოო გადამწყვეტი მარტო ისინი არ არიან“. ავტორი ფიქრობს, რომ ენგელსმა „ბოლონდელ ნაწერებში კიდევ უფრო შეზღუდა წარმოების ურთიერთობათა განმსაზღვრელი მნიშვნელობა“.

ამ აზრის დასამტკიცებლათ ის გვითითებს ენგელსის ორ წერილზე, რომლებიც დაიბეჭდა «Soz. Akademiner»-ში 1895 წლის ოქტომბერში და რომელთაგან ერთი იყო დაწერილი 1890 წ., ხოლო მეორე 1894 წელს. ამ წერილების შინაარსს კარგათ ახასიათებს ბ. ბერნშტეინი ამათგან ამოღებული ორი ციტატით. პირველი ციტატი ლაპარაკობს: «ამნაირათ, არსებობენ ურიცხვი, ურთიერთზე გადაბმულნი ძალნი, იმ ძალთა დაუსრულებელი ჯგუფი პარალელოგრამებისა, რომელნიც იძლევიან შესაფერ შედეგთ,—ისტორიული მოვლენა,—რაც თავის მხრით შეიძლება გაირჩეს, როგორც ნაყოფი იმ ძალისა, რომელიც მოქმედებს, როგორც ერთი მთელი, შეუგნებლათ და უნებურათ, რადგან მარტო ერთის სურვილი ხვდება წინააღმდეგობის ყველა დანარჩენთა სურვილებში და აი ამ სურვილთა შეტაკებისაგან წარმოსდგება ისეთი რამ, რაც არავის არ სურდა» (წერილი 1890 წლის).

მეორე ციტატაში ვკითხულობთ შემდეგს: «პოლიტიკური, უფლებითი, ფილოსოფიური, რელიგიური, ლიტერატურული, ხელოვნური და სხვ. განვითარება მყარდება ეკონომიურ განვითარებაზე. მაგრამ ყველა ამათ ზედ-მოქმედება აქვთ ერთმანეთზე და აგრეთვე ეკონომიურ საფუძველზე» (წერილი 1895 წლ.).

ამ ციტატების შემდეგ მოჰყვება ბ. ბერნშტეინის შენიშვნა: „მკითხველი დამეთანხმება, რომ ეს ციტატები სხვაგვარათ ლაპარაკობს, ვინემ ზემოთ მოყვანილი მარქსის სიტყვები“. ზემოთ კი მას მოჰყავს ერთი ადგილი „Zur Kritik“-ის წინასიტყვაობიდან. „რომელიც ლაპარაკობს, რომ მატერიალური ცხოვრების წარმოების სისტემა განსაზღვრავს სოციალური, პოლიტიკური და გონებრივი ცხოვრების პროცესს. ვთქვათ ერთი წამით, რომ ეს აზრი სხვაგვარათ ლაპარაკობს, ვინემ ენგელსის წერილიდან ზემოთ მოყვანილი ციტატა, და გადავხედოთ, რა შეხედულებისანი იყვნენ მარქსი და ენგელსი ჯერ კიდევ მეორმოცე წლებში, ბევრი წლებით ადრე, სანამ „Zur Kritik der politischen Oekonomie“ გამოქვეყნდებოდა.

მაწარმოებელ ძალთა განვითარებას ისინი მაშინაც საზოგადოებრივი განვითარების ერთ ულრმეს მიზეზათ თვლიდენ. ამ მხრით მათი შეხედულობა სრულიად ეთანხმება იმ შეხედულობას, რომელიც მათ გამოაქვთ „Zur Kritik“-ის წინასიტყვაობაში.

რა ნაირათ უყურებენ „ძალთა პარალელოგრამას“ და სხვა-და-სხვა „ფაქტორების“ ურთიერთ შორის დამოკიდებულებას? მარქსი და ენგელსი მეორმოცე წლების ერთ თავიანთს თხზულებაში გვიხატვენ, თუ როგორ გამოიწვია ბურჟუაზიის ეკონომიურმა წარმატებამ პოლიტიკური ბრძოლა და პოლიტიკური დაპყრობანი, რაც თავის მხრით საფუძვლათ ედებოდა მათს ეკონომიურათ კიდევ უფრო განვითარებას. ერთი სიტყვით, პოლიტიკური „ფაქტორის“ შესახებ ჩვენ იმასვე ვკითხულობთ იქ, რასაც ენგელსის 189 წლის წერილში: პოლიტიკური განვითარება დამყარებულია ეკონომიურზე, მაგრამ ამასთან ზედ-მოქმედება აქვს ეკონომიურ მდგომარეობაზე. გამოდის, რომ ის შეხედულობა, რომელიც ბ. ბერნშტეინს მარქსისა და ენგელსის ისტორიული ევოლიუციის დაბოლო შედეგათ მიაჩნია, ნამდვილათ ჯერ კიდევ 1848 წელს გამოაქვთ მათ, ე. ი. იმ დროს, როცა ბ. ბერნშტეინის ჰიპოთეზით, მარქსი და ენგელსი უნდა ყოფილიყვნენ—თუ შეიძლება ასე ვთქვათ—«წმინდა ეკონომისტები».

მაგრამ ეს ჯერ ასეა მხოლოთ შესახებ პოლიტიკური ფაქტორისა“, ხოლო სხვა «ფაქტორთა» შესახებ შეიძლება ასე არ იყოს? იმავე თხზულებაში ნათქვამია, რომ გონებრივი მოქმედება იცვლება მატერიალურთან ერთათ: «როცა ძველი ქვეყანა დაირღვა, ძველ სარწმუნოებას სძლია ქრისტიანულ სარწმუნოებამ. როცა ქრისტიანული იდეები ადგილს უთმობდენ მე-XVIII საუკ. განმანათლებელ იდეებს, ფეოდალური საზოგადოება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწეოდა ბურჟუაზიასთან». ჯერ უკვე ამ სიტყვებიდანაც სჩანს ცნობა ურთიერთობის გავლენით

---

[1]) აი კარგი მაგალითიც: სენ-სიმონის ისტორიული შეხედულობანი აშენებული იყო იდეალისტურ საფუძველზე, როცა რომ ის მინიეს, გიზოს ან ოგ. ტიერზე არა ნაკლები ეკონომიური მატერიალისტი იყო.

[2]) ბ. ბერნშტეინი ამტკიცებს, რომ: „ისტორიის მატერიალისტურ გაგების საფუძველზე აგებული მოძღვრება კლასთა ბრძოლაზეო“. მკითხველმა უკვე იცის, რომ კლასთა ბრძოლაზე მოძღვრება შესაძლებელია აეგოს არა მარტო ისტორიის მატერიალისტურ ახსნაზე. მაგრამ ბ. ბერნშტეინს ამასთან რა საქმე აქვს? მისი მიზანია «კრიტიკაა» და არა შესწავლა.

ერთის მხრით საზოგადოების ეკონომიურ განვითარებასა და მეორეს მხრით მის გონებრივ განვითარებას შორის. იმ თხზულების სხვა სტრიქონები კი სრულის სიცხოვლით ასაბუთებენ ამას.

აქაც იგივე შეხედულობაა ქონებრივი „ფაქტორის“ მნიშვნელობაზე, რაც ჩვენ აღვნიშნეთ პოლიტიკური „ფაქტორის“ შესახებ: გონებრივი განვითარება დაფუძნებულია ეკონომიურზე, მაგრამ შემდეგ, თავის მხრით, ზედ-მოქმედება აქვს ეკონომიურზე (ხალხთა სოციალ-პოლიტიკური მოქმედების საშუალებით). გამოდის, რომ მარქსსა და ენგელსს არა მარტო დიურინგთან პოლემიკაში სწამდათ იდეური «ფაქტორი», არამედ 1848 წელსაც—და არა თუ 1848 წელს, არამედ „Deutsch-Französische jahrbücher“-ის გამოცემის ეპოქაშიაც (1844 წ.). მარქსის შესახებ მაინც ამას ამტკიცებს მისი შემდეგი შესანიშნავი სიტყვები. «არც ერთს კლასს არ შეუძლია ეს როლი (განმათავისუფლებელი) შეასრულოს ისე, თუ დროებითი ენტუზიაზმი არ გამოიწვია თავის თავში და უმრავლესობაში (ბრბოში). ამ ხნის განმავლობაში ის უძმობილდება მთელ საზოგადოებას, მას იჩნევენ საერთო წარმომადგენლად, მას თანაუგრძნობენ; ამ ხნის განმავლობაში ამ კლასის უფლებანი და მოთხოვნილებანი იქცევიან მთელი საზოგადოების უფლებებათ და მოთხოვნილებებათ, ხოლო თვითონ კი საზოგადოების სულათ და გულათ» (ამოღებულია მისი წერილიდან ჰეგელის შესახებ).

როგორც ხედავთ, საერთოთ თვით-ცნობიერების და კერძოთ ენტუზიაზმის როლი საზოგადოებრივ ცვლილების საქმეში აქ კატეგორიულათაა მიღებული. პსიხიურ „ფაქტორს“ ზედ-მოქმედება აქვს საზოგადოებრივ (და მაშასადამე ეკონომიურზედაც) ურთიერთობაზე. ამის შემდეგ მარქსი ხსნის, თუ როგორ იზრდება კლასთა ბრძოლის ნიადაგზე მის მიერ დასახელებული მთელი საზოგადოების ურთიერთობა «განმათავისუფლებელ კლასთან»: ერთი რომელიმე წოდება რომ მხსნელ-წოდებათ par excellence გამოვიდეს, ამისათვის საჭიროა სხვა რომელიმე წოდება საზოგადო შეგნებაში, მჩაგვრელ-წოდებათ გამოვიდეს. საფრანგეთის თავად-აზნაურობისა და სასულიერო წოდების საერთო-დამღუპველმა მნიშვნელობამ გამოიწვია საერთო-მხსნელი მნიშვნელობა მის გვერდით და მის წინააღმდეგ მდგომ ბურჟუაზიისა» (Deutsch-Französische jahrbücher, p. 82).

დასკვნა: მარქსმა და ენგელსმა თავიანთ მოღვაწეობის დასაწყისშივე ის აზრი გამოთქვეს ისტორიული განვითარების სხვა-და-სხვა „ფაქტორთა“ ერთმანეთს შორის ურთიერთობაზე, როგორსაც ჩვენ ვხედავთ ბ. ბერნშტეინის მიერ მოყვანილ მეოთხმოცდაათე წლების ენგელსის წერილებიდან. სხვაფრივ არც შეიძლებოდა: მარქსსა და ენგელსს რომ თავის პოლიტიკურ მოღვაწეობის დასაწყისშივე მართლაც მნიშვნელობა არ მიეცათ პოლიტიკურ და სულიერ „ფაქტორთათვის“ და უარეყოთ მათი ზედ-მოქმედება საზოგადოების ეკონომიურ განვითარებაზე, მაშინ მათი პრაქტიკული მოღვაწეობა სულ სხვაგვარი იქნებოდა: იგინი კრინტსაც არ დასძრავდენ მუშათა თვით-ცნობიერების განვითარებაზე: რა საჭირო იქნებოდა მათი განვითარება, თუ მას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს საზოგადოებრივ მოძრაობაში, და თუ ისტორიაში ყველაფერი კეთდება თვით-ცნობიერების დამოუკიდებლათ, მარტო ეკონომიური აუცილებლობის ძალით? მაგრამ ვინ არ იცის, რომ მარქსისა და ენგელსის საზოგადოებრივი მოღვაწეობის უმახლობელესი პრაქტიკული საგანი იყო მუშებში თვით-ცნობიერების განვითარება? ხოლო ბ. ბერნშტეინს, როგორც „ნამარქსისტარს“, მეტი არ იქნებოდა ისიც ცოდნოდა, რომ საფრანგეთისა და ინგლისის მუშებში მეორმოცე წლების დასაწყისში მომხდარი ენერგიული გონებრივი შრომა ერთ უმთავრეს საბუთათ ჰქონდა მარქსს ბრუნო ბაუერისა და მის მსგავს მწერალთა წინააღმდეგ, რომელნიც აღმაცერათ შესცქეროდენ „უმრავლესობას“ (მასსას) და მთელ თავიანთ იმედებს ამყარებდენ „კრიტიკულათ მოაზრე პიროვნებებზე“ [3]).

მოვიყვანოთ მეორე ჰიპოთეზა: მარქსი და ენგელსი თავიანთ მოღვაწეობის დასაწყისში «ფაქტორებს» უყურებდენ ისე, როგორც უყურებდა მათ ენგელსი მეოთხმოცდაათე წლებში, ხოლო ამ მოღვაწეობის შუაში, „Zur Kritik“-ის გამოსვლის დროს, მარქსმა —მარტომ ან ენგელსთან ერთათ— რაიმე მიზეზის გამო შეიცვალა ეს აზრი და ჩაიჭრა იმ უკიდურესობაში, რომელიც ბ. ბერნშტეინმა აღმოაჩინა დასახელებულ წიგნის წინასიტყვაობაში.

მაგრამ ეს ჰიპოთეზაც რომ ვერ უძლებს კრიტიკას! ვერ უძლებს იმ მიზეზით, რომ დასახელებულ წინასიტყვაობაში იგივე შეხედულობაა გატარებული «ფაქტორებზე», რომელმაც, ბ. ბერნშტეინის აზრით, თავი იჩინა მხოლოთ მარქსის ისტორიულ თეორიის ევოლიუციის შემდეგ. მკითხველი ადვილათ დაგვეთანხმება, თუ ცოტაოდენ შრომას იკისრებს და ჩაუკვირდება თვით იმ ციტატის აზრს, რომელიც საბუთათ მოჰყავს ჩვენს ღრმა-მოაზრე «კრიტიკოსს»: «მატერიალური ცხოვრების სისტემა (წესი) საზოგადოთ იწვევს სოციალურ, პოლიტიკურ და გონებრივ ცხოვრების პროცესს». ეს ნიშნავს, რომ სოციალური, პოლიტიკური და გონებრივი «ფაქტორები» იზრდებიან ეკონომიურ ნიადაგზე.

შემდეგ: «საზოგადოების მატერიალური მაწარმოებელი ძალნი თავის განვითარების ერთ-ერთ საფეხურზე წინააღმდეგი უხდებიან არსებულ საწარმოო ურთიერთობებს ანუ... საკუთრების ურთიერთობას, რომლის დროსაც ისინი აქამდე ვითარდებოდენ. ამ ურთიერთობათა ფორმები აღარ შველიან მაწარმოებელ ძალთა განვითარებას და წინ ეღობებიან მას. ამ დროს იწყება სოციალური რევოლიუციის ეპოქა». (ბერნშტეინი).

ქონებრივი ურთიერთობანი ეკუთვნიან უფლების ნაწილს. ამა თუ იმ დროში ესა თუ ის ქონებრივი ურთიერთობანი შველიან მაწარმოებელ ძალთა განვითარებას. ეს ნიშნავს, რომ უფლებითი ფორმები, ამა თუ იმ ეკონომიურ ბაზისზე აღმოცენებული, თავის მხრით ზედ-მოქმედებას იჩენენ ეკონომიკაზე. შემდეგ—და სხვათა შორის ამ ზედ-მოქმედების მეოხებით—დგება ისეთი დრო, როცა ესა თუ ის უფლებითი ფორმები ხელს უშლიან მაწარმოებელ ძალთა განვითარებას. ეს კიდევ იმას ნიშნავს, რომ ფორმებს ზედ-მოქმედება აქვთ,—თუმცა ახლა უკვე შებრუნებულათ,— საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობაზე. იმის გამო, რომ მაწარმოებელ ძალთა და ქონებრივ ურთიერთობათა შორის წინააღმდეგობა ჩნდება, იწყება გარდამავალი ეპოქა. რას ვაღწევთ ამ ეპოქით? რა მიზანი

[3]) Die heillge Familie, p. 125.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს მას? მისი მიზანია მოსპოს ძველი და დაამყაროს წარმოების ახალი ურთიერთობანი, ახალი უფლებითი დაწესებულებანი. რისთვისაა საჭირო ეს მოსპობა და ეს დამყარება? მაწარმოებელ ძალთა კიდევ მეტ განსავითარებლათ. ეს ისევ და ისევ იმას ნიშნავს, რომ უფლებითი ფორმები, აღმოცენებულნი ამა თუ იმ ეკონომიურ საფუძველზე, თავის მხრით გავლენას ახდენენ ამავე საფუძველზე. და ეს იგივე არ არის, რაც მეორმოცე წლებში ითქვა, რაიცა მეორდება მარქსის თითქმის ყველა შემდეგ თხზულებებში და ნაჩვენებია ბერნშტეინის მიერ მოყვანილ ენგელსის წერილებში?

პსიხიური „ფაქტორი?“ შეიძლება „წინასიტყაობაში“ ამაზე ის არ არის ნათქვამი, რაც მარქსისა და ენგელსის სხვა ნაწერებში? წინასიტყვაობაში მართალია ცოტაა თქმული, მაგრამ ის, რაც არის, სრულებით არ ეწინააღმდეგება იმას, რაც ენგელსის წერილებშია. მაწარმოებელ ძალთა განვითარება აგდებს ადამიანებს შორის წარმოების ამა თუ იმ ურთიერთობებს, ჰბადებს ასეთსა თუ ისეთს უფლებრივ ფორმებს. ამა თუ იმ უფლებრივ ფორმებს ეგუებიან ხალხის ესა თუ ის უფლებრივი შეხედულებანი.

მაწარმოებელ ძალთა თანდათანი განვითარებით, იმდენათ, რამდენათაც მათ მდგომარეობას აღარ ესაბამებიან ძველი უფლებრივი ფორმები, იბადება ეჭვი იმათში, რომელთა ინტერესები ირღვევიან ამ შეუსაბამობით, ეჭვი ძველ უფლებრივ დაწესებულებათა ვარგისობაში და სამართლიანობაში; იმათ ეცვლებათ შეხედულება უფლებაზე და სამართლიანობაზე იმის დაგვარათ, თუ რა მაწარმოებელ ძალთა განვითარების საფეხურსაც მიაღწია საზოგადოებამ. აი ამ უფლებისა და სამართლიანობის ახალ შეხედულების მხარისაკენ იხრება ძველი წეს-წყობილების წინააღმდეგ მებრძოლთა პრაქტიკული მოღვაწეობა, რომელიც ჰქმნის ახალ უფლებრივ დაწესებულებებს, ხოლო ეს დაწესებულებანი კი კიდევ უფრო წინ აქანებენ მაწარმოებელ ძალთა განვითარებას და სხვა და სხვა. აი რა ითქვა წინასიტყვაობაში, და ჩვენ ვეკითხებით მიუდგომელ მკითხველებს, ეწინააღმდეგება თუ არა, თუნდა იოტის ოდნათ, ეს ენგელსის წერილებში გამოთქმულ აზროვნებას? ცხადია, არ ეწინააღმდეგება. მაგრამ წინასიტყვაობა დაწერილია უფრო განყენებული ენით და სულ სხვა მიზეზით. სახელდობ, წინასიტყვაობაში მარქსს უნდოდა განსაკუთრებითი ყურადღებით გამოეხატა ის, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობათა „ახსნა არ შეიძლება არც თვისი საკუთარი ბუნებით, არც ეგრეთ წოდებულ ადამიანის სულის ზოგადი განვითარებით“. ამ მიზნით მან ყველას დასანახათ წამოაყენა უმთავრესათ ხსენებულ ურთიერთობათა განვითარების ეკონომიური საფუძველი. ხოლო ენგელსი კი თვის წერილებში მიმართავს ისეთ პირს, რომელიც ბევრ ჩვენ თანამემამულეთა მსგავსათ — ფიქრობდა, რომ «ეკონომიურ მატერიალიზმის“ თეორიაში სამოქმედო ალაგი არა აქვთ პოლიტიკურ, უფლებრივ და სულიერ «ფაქტორებს» და ამიტომაც მან, გაკვრით შეეხო რა ამ «ფაქტორთა» ეკონომიურ საფუძველს, განსაკუთრებითი ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ ამ ეკონომიურ ნიადაგზე აღზრდილ «ფაქტორებს» თავის მხრით ზედ-მოქმედება აქვთ ეკონომიურზე. წერილის მთელი მნიშვნელობა ამაშია. ბ. ბერნშტეინს რომ მის მიერ გარჩეულ თეორიის ცალიერ სიტყვებზე მაღლა წასვლა შესძლებოდა და მოეხერხებინა მის შინაარსში ჩაჰვრეტა, ის სულ ადვილათ მიხვდებოდა, რომ „Zur Kritik“-ში გატარებული ისტორიული შეხედულებანი სწორეთ იმდენსავე ადგილს უთმობენ, მეორე, მესამე და სხვ. ხარისხოვან მიზეზთა მოქმედებას, რამდენსაც დიურინგის საწინააღმდეგო მოძღვრებას, ხოლო ენგელსის 1890 წლის წერილში მსჯელობა მასზე, რომ ისტორიული მოვლენანი შეიძლება გაირჩეს როგორც შეუგნებლათ მომქმედი ძალის ნაყოფი, იგივეა, რასაც მარქსი ამბობს «წინასიტყვაობაში» შესახებ საზოგადოებრივი განვითარებისა, დამოუკიდებლათ ადამიანის შეგნებასა და ნებაზე. აქ სრული თანხმობაა, მაგრამ ბ. ბერნშტეინმა მაინც მოახერხა ისე გაეგო ენგელსის სიტყვები, როგორც წინასიტყვაობის რაღაც შემცვლელი და შემავსებელი. ოჰ, «კრიტიკავ!» თავის ბროშიურის მეორე ადგილას ჩვენი «კრიტიკოსი» შენიშნავს, რომ ვითომ მარქსი გადაჭარბებულ მნიშვნელობას აძლევდეს «რევოლიუციურ ძალის შემოქმედობას თანამედროვე საზოგადოების გარდაქმნის საქმეში». მაგრამ რევოლიუციური ძალა იგივე პოლიტიკური ძალაა. მაშასადამე გამოდის, რომ მარქსი ცდებოდა პოლიტიკური ძალის გარდამეტებულათ დაფასებაში. მაგრამ იგივე მარქსი, იმავე დროს და იმავე «კრიტიკოსის» სიტყვით, ცდებოდა მასში, რომ მნიშვნელობას არ აძლევდა არავითარ სხვა «ფაქტორებს», გარდა ეკონომიურისა. მოდი და გაიგეთ ეს ვისაც შეგიძლიათ!

დასკვნა: მარქსისა და ენგელსის ისტორიული შეხედულებანი ოდნავაც არ მოძველებულან ჩვენი დროისათვის და «კრიტიკოსთა» ყოველგვარი ცდა — შეასწორონ ეს იდეა, დაფუძნებულია მის გაუგებრობაზე. ეს იდეები ბუნებრივი შედეგია მათ წინამორბედ ისტორიული მეცნიერების განვითარებისა. ესენი ავსებენ ამ განვითარების შედეგებს და ანიჭებენ მას საჭირო მოყვანილობას.

Ami.

## ჭიათურის ბანკის გამო

(ბ. ნ. ელიავას პასუხათ).

გაზეთის № 22-ში ბ. ნ. ელიავამ გულნაწყენის კილოთი სასტიკათ უკიცხა ჭიათურის წვრილი მრეწველნი და მათი პარტია. რომელმაც «დიდი დაუდევრობა გამოიჩინა (ბანკის) წესდების სულის მოწერის დროს»-ო და ამ რიგათ «ბანკი ისევ მსხვილებს ჩაუგდეს ხელში„-ო და სხ. და სხ.

თუ რამ გამოიწვია ასეთი გულის წყრომა, ამის განხილვას აქ არ შევუდგებით. ეს დავტოვოთ ისევ ბ. ელიავას გულის საიდუმლოთ.

შევეხოთ თვით საგანს. როგორც ჩანს ბ. ელიავა არ ყოფილა გაცნობილი არც შარშანდელ სიეზდის კრებებს, არც მესამე სიეზდის შრომას და არც ჭიათურის ბანკის ისტორიას და ჭიათურელთ მდგომარეობას, თვარა ასე მკაცრათ და გამეტებით თავის მახვილს არ მოიქნევდა მტრის ნაცვლათ მეგობრებზედ. აი საქმე რაში გახლდათ:

შარშან სიეზდის კრებებზე ჭიათურის ოპოზიციამ, ე. ი. წვრილ მრეწველთა პარტიამ სხვა მრავალ საგულისხმო რეფორმებთან ერთათ (რომელთა განხორციელებას ასე სისტემატიურათ და ხშირათ ეწინააღმდეგება ჩვენი საბჭო), მოიწადინა ბანკის დაარსებაც ჭიათურაში. მიზანი იყო — მისცემოდა თავი სესხი წვრილ მრეწველთ, ვინაიდან ისინი დღემდე მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ კრედიტს და ამ რიგათ დამონავებული ყავდათ ჩარჩებს. ამ კითხვის შესახებ საბჭოს არაფერი

შეეტანა სხდომის პროგრამაში, რადგან იგი არ თანაუგრძნობდა ამგვარ მრეწველთათვის სასარგებლო ცვლილებას. ჩვენ, ე. ი. ოპოზიციამ გამოვითხოვეთ მინისტრიდან დეპეშით ნება-რთვა როგორც კრედიტის, აგრეთვე ჭიათურაში საბჭოს გადატანის შესახებ და გადავწყვიტეთ ორივე კითხვა. საბჭო და მისი პარტია ამ კითხვებს მიეგებნენ მტრულად. ოპოზიციამ დაადგინა: დაარსდეს ჭიათურაში საურთიერთო კრედიტი. მისი წესდების შემუშავება და მის დამტკიცებაზედ ზრუნვა კი მიენდო საბჭოს. (იხ. მესამე ყრილობის შრომა, გვ. 124). ოპოზიციას სახეში ჰქონდა ძველი საბჭო კი არა, არამედ ახალი, თავიანთ მომხრე-მოაზრეთაგან შემდგარი. მაგრამ სამწუხაროდ ზოგიერთ პირთა ღალატმა და ჩვენი კანდიდატების სხვა და სხვა მიზნით უარის თქმამ წაახდინეს საქმე. საბჭო ჩაიგდეს ხელში ისევ ძველებმა, ე. ი. მრეწველთა ერთმა ჯგუფმა, მსყიდველებმა. ექსპედიტორებმა და მათმა დამქაშებმა. ამ რიგათ, ჩვენი სურვილის წინააღმდეგ, ბანკის საქმეც მათვე ჩაუვარდათ ხელში.

ერთი რამ გვამშვიდებდა: გვეგონა საბჭო დაადგებოდა კანონიერ გზას და არ გადაცდებოდა თავის კომპეტენციას. სამწუხაროდ ეს იმედი არ გამართლდა. მოკლედ რომ ვთქვათ: საბჭოს უნდა შეედგინა ბანკის წესდება და უნდა წარმოედგინა მრეწველთათვის. როგორც დამფუძნებელ, ისე უბრალო წევრებათ ჩარიცხვა კი უნდა ყოფილიყო ჩვენი, ე. ი. მრეწველთა საქმე. ეს ასე არ მოხდა. საბჭომ შეადგინა წესდება. ანუ უკეთ. გადმოსწერა ქუთაისის საურთიერთო კრედიტის წესდება ორიოდე მუხლის შეცვლით (რაიცა უკანონოთ სცნო შემდეგ სამინისტრომ) და გამოატანა ჭიათურაში ერთ თავის წევრს. ამან არ მიიღო შესაფერი ზომები. რომ მოეწვია მრეწველნი. მოახდინა რაღაც კრება, წაუკითხა ორიოდე პირს წესდება და დაბრუნდა ქუთაისში. ეს იყო და ეს. ჩვენ გვეგონა, რომ საბჭო გამოიჩენდა იმდენ სამართლიანობას, რომ მოგვიწვევდა მრეწველთ და ოპოზიციის წევრთ ხელის მოსაწერათ. მაგრამ ეს ასე არ ჩაიდინა. საბჭომ მართლაც მოიწვია და ჩარიცხა ბანკის წევრებათ ისინი ვინც მას სურდა. მოიწვიეს ყველანი: სამეგრელოდან, გურიიდან, ქართლიდან, კახეთიდან. მოიწვიეს ბაქოდანაც კი, მოიწვიეს ყოველი მხრიდან, მისთანა პირნი, რომელთაც თვალით არ უნახავთ თვით ჭიათურა. ასე გულ უხვათ მოიქცა საბჭო; მხოლოთ მცირე, სულ მცირე გულმავიწყობა გამოიჩინა: მან არ მოიწვია ჭიათურის მიდამოს მკვიდრნი. ნამდვილი მრეწველნი; საბჭოს გამორჩა მეხსიერებიდან მარგანეცით განთქმული სოფლები: შუქრუთი, პერევისა, მღვიმევი, ზედა-რგანი, თაბაგრები და სხ., გამორჩა ჩაჩანიძეები, გაფრინდაშვილები, მასხარაშვილები, პერევისელი წერეთლები, თაბაგრები, ღუღუნაშვილები, ჯავიძეები, ვაშაძეები და სხ., რომელნიც შეიცავენ ორ მესამედს მთელი ჭიათურის მრეწველობისას, რომელნიც ითვლებიან ადგილობრივ მკვიდრათ. მემამულე-მრეწველებთ, რომელნიც ეკუთვნოდენ ოპოზიციის ბანკს და რომელთათვის უნდა დაარსებულიყო ჭიათურის ბანკი. ამ გავრცელებულ გვარებს ეკუთვნის ნახევარზედ მეტი მთელი ჭიათურის წარმოებისა და მადნებისა: მათში კი მხოლოთ 3-4 პირია მოყვანილი წევრთა სიაში. არ მიიღეს წევრათ ოპოზიციის ერთი მეთაურთაგანიც, როცა მან მოისურვა წევრათ ჩარიცხვა და შეიტანა საბჭოში თხოვნა. იმავე დროს კი მიიღეს რამდენიმე პირი.

თუ რათ ჩადიოდა საბჭო ამგვარ მოსაწონარ საქციელს, ადვილი ასახსნელია: მას სურდა გაეყვანა ბანკის გამგეობა-რჩევაში თავის კაცები და მიზანს კიდეც მიაღწია. ამ რიგათ ჭიათურის ბანკიც ჩაიგდო ხელში ისევ იმ მცირე ჯგუფმა, რომელიც ეს ხუთი წელია ბატონობს მთელს ჭიათურაში[illegible] ათის დღის წინათ ამ ჯგუფმა (ე. ი. საბჭომ და ბანკის წევრებმა) მოახდინეს კრება ქუთაისში; კრება გახსნეს მუშტი-კრივით, ერთმანეთის ცემა-ტყეპით, სურთუკების დაფხრეწით და დაამთავრეს თავის კანდიდატების არჩევით ფეხზედ წამოდგომით. როგორ მოგწონს მკითხველო! ამგვარი დასაწყისი ქონდა ჭიათურის ბანკს; რა შედეგი ექნება, ადვილი მისახვედრია, თუ მართლაც სულ ამ ჯგუფის ხელში დარჩა ეს ბანკი.

მოკლედ ვთქვათ: საბჭომ უკანონო საშვალებით მოიშორა ბანკიდან ოპოზიცია, მოიშორა წვრილნი მრეწველნი; ამ გვარ სიხარბით მან აალელვა მთელი ჭიათურა და გამოიწვია მრეწველთა შორის უსიამოვნება და ანტაგონიზმი. ამ გვარმა საქციელმა იმოქმედა ისე ცუდათ, რომ ბევრმა უკანვე გაიტანა თავის სესხი და ბევრიც აპირებს კიდევ გატანას. ეს კი სამწუხარო მოვლენაა. ჩვენის აზრით ჭეშმარიტი მოღვაწე და ჭეშმარიტი ორგანო არ უფრთხიან ოპოზიციას, კრიტიკას (თუმც უსამართლო იყოს იგი) და არას დროს არ გადაცდებიან სამართლიანობის გზას. «ქმნა მართლისა სამართლისა სისა შეიქმს სმელსა ნედლად», ბრძანებს სულმნათი შოთა. მართლაც მოსისხლე მტერსაც კი უყვარხარ მაშინ და გეპყრობა პატივის ცემით თუ შენში ჰპოვა პატიოსნება, ღმობიერება და სამართლიანობა; მაგრამ უახლოესი მოყვარეც კი გშორდება, თუ შეგამჩნია მედა-მუობა, სიხარბე და ქვენა ვნებანი. შენს ამალას შეამკობენ მხოლოდ ტარაკუზა, კუდ-ქიცინა ფენიები, რომელნიც იყეფებენ შენთვის მანამდე, სანამ გამოელიან შენის ნასუფრალიდან თითო ოროლა ლუკმას. აი ცხოვრების ჭეშმარიტება, რომელიც სამწუხაროდ ვერ შეუგნია ჭიათურის მრეწველთა საბჭოს!

ყოველივე ამის შემდეგ განა დასაძრახია წვრილი მრეწველნი?!, განა საგმობია მრეწველთა ოპოზიცია?! განა მოელოდენ ისინი, რომ საბჭო ამ გვარ გზას დაადგებოდა და ამ გვარ უზურპაციას მოახდენდა?! ნუ დაივიწყებთ, რომ საბჭოს თარეშობას ძლიერ ხელი მოუწყო ერთმა რამ, ეს გახლავთ შავი-ქვის საშინელი კრიზისი, რომელიც მძვინვარებს ეს მეცხრე თვეა და რომელმაც განდევნა ჭიათურიდან და საქმეებიდან მრეწველნი და ოპოზიციის წევრები, დასძრა და დაასუსტა ისინი, ისედაც ნივთიერად გაჭირვებული ადამიანნი... წვრილ მრეწველთ და ოპოზიციას კიდეც რომ ხმა ამოეღოთ ახლა, აბა რას გახდებოდენ! ახლა ყრილობის კრება არ იყო, რომ თქმის უფლება ქონოდათ, ბანკის წევრებათ ისინი არ იყვნენ, რომ რამე მოეხდინათ. მაშ რა უნდა ექნათ?!. მუშტისა და კრივს ხომ არ მიჰმართავდენ საბჭოს პარტიის «ინტელიგენტებივით»! მათ ისევ სიჩუმე არჩიეს დრომდე. შეიძლება როდესმე გამოანათოს მზემ, მოხდეს ყრილობა და მაშინ, ეჭვი არაა, დიდათ მოლევაწე საბჭო მიიღებს სამაგიეროს *).

ს. ქვარიანი.

---

*) ბ. ქვარიანს ვერ გაუგია ნ. ელიავას წერილი, ის სრულებით არ გალაშქრებულა წვრილ მრეწველთა წინააღმდეგ, არამედ იმან დაიწუნა ის უტაქტობა და უძრაობა, რომელსაც ბრძოლის დროს წვრილები იჩენენ. ასეთი კრიტიკა საჭიროა, თვარა მუდამ შეცდომებით ვივლით.

რედ.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

Дозволено цензурою, Тифлисъ. 16 іюня 1901 г.

სტამბა კ. მარტიროსიანცისა, ვანქის დიდი ქ., №1—2.